

თბილისის ვანო სარაჯვიშვილის სახელობის  
სახელმწიფო კონსერვატორია

ხელნაწერის უფლებით

რუსულან თამაზის ასული თაბაგარი

პრელუდია, ტრპატა და ზანტაზია XX საუკუნის  
ეპოკულ ინსტრუმენტულ მუსიკაში

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის - 1007  
აკადემიური წარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დისერტაციის

ა ვ ჭ რ ე ვ ე რ ა ჭ 0

თბილისი - 2016 წ.

სამეცნიერო  
ხელმძღვანელი: **მარიკა ნადარეიშვილი**  
ნელოვნებათმცოდნეობის დოქტორი  
ასოცირებული პროფესორი

ექსპერტები: **მაია ტაბლიაშვილი**  
ნელოვნებათმცოდნეობის დოქტორი  
ასოცირებული პროფესორი

**ნინო გვანია**  
ნელოვნებათმცოდნეობის დოქტორი  
ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2016 წლის 9 თებერვალს 16 საათზე  
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო  
კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე №1.

მისამართი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია,  
გრიბოედოვის ქ. №8, IV სართული, აუდიტორია №421.

დისერტაციის და ავტორეფერატის გაცნობა შესაძლებელია  
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო  
კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და კონსერვატორიის ვებ-  
გვერდზე: <http://www.tsc.edu.ge>

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი



**ება ჰაბაშვილი**  
სამუსიკო ხელოვნების დოქტორი  
ასოცირებული პროფესორი

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

XX საუკუნე მუსიკალური ხელოვნების განვითარების ერთ-ერთი როტული და მრავალფეროვანი ეპოქაა. მისთვის დამახა-სიათებელია კონტრასტები, ესთეტიკური იდეალების ხშირი ცვლა, მრავალი და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი მოვლენების თა-ნაარსებობა. თანამდეროვე ეპოქაში ახალი ძიებები მიმდინარეობს ყველა მიმართულებით, მათ შორის, მუსიკალური ენის, საკომპო-ზიციო ტექნიკის, მუსიკალური ჟანრისა და ფორმის სფეროში.

მუსიკალური ჟანრი მუდმივად განვითარებადი და განახლე-ბადი ფენომენია, რაც განაპირობებს მის სიცოცხლისუნარიანობას. ჟანრის კვლევისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მის სტაბილურ და მობილურ ელემენტებზე, ვინაიდან სწორედ მათი გამოიკვეთა გვეხმარება ჟანრის გენეზისის, ისტორიული განვითარების სპეცი-ფიკისა და ევოლუციის დინამიკის დანახვაში.

მუსიკალური ჟანრები პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: I ჯგუფშია ე.წ. პირველადი, ყოფა-ცხოვრებაში ჩამოყა-ლიბერული ჟანრები (მარში, სიმღერა, ნანა და ა. შ.), II ჯგუფში კი – ე.წ. ისტორიულად ჩამონაკვთილი ჟანრები, პროფესიულ მუსიკაში შექმნილი ჟანრული ნაირსახეობები (სიმფონია, ოპერა, ორატორია, სონატა, პრელუდია, ტოკატა, ფანტაზია და სხვ.).

ინსტრუმენტული ჟანრები – პრელუდია, ტოკატა და ფან-ტაზია ისტორიული განვითარების გზაზე განიცდის გარდაქმნას. საწყის ეტაპზე ისინი იმპროვიზაციული, თავისუფალი კომპოზი-ციების სახით ყალიბდება, ბაროკოს ეპოქაში კი განვითარების უმაღლეს მწვერვალს აღწევს. ამ პერიოდის სამივე ჟანრს ბევრი საერთო თვისება გააჩნია, რომელთა შორისაა იმპროვიზაციულობა, შესავლის ფუნქცია, პოლიფონიურობა, ფორმის აღნაგობის თავი-სუფლება. მსგავსი თვისებების არსებობის გამო, ბაროკოს ეპოქაში ხშირად მათი ერთმანეთთან გაიკვებაც კი ხდებოდა. ბაროკოს შემდგომ მოცემულ ჟანრებს ნაკლებად მიმართავენ კლასიკოსები და კვლავ მეტად ინტერესდებიან რომანტიკოსები.

XX საუკუნეში აღნიშნული ჟანრებისადმი ინტერესი ძლიერ-დება. პრელუდის, ტოკატისა და ფანტაზიის უამრავი საინტერესო და მრავალფეროვანი ნიმუშია შექმნილი ევროპელ (მათ შორის, რუს

და ქართველ) კომპოზიტორთა მიერ. ხშირად ეს ტრადიციული უანრები ახალი მუსიკალური ენის, პარმონიული სისტემისა თუ საკომპოზიციო ტექნიკის პირობებში საინტერესო გარდასახვას ჰქოვებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის მათ კვლევას სხვადასხვა საკომპოზიტო სტილის პირობებში. ყოველივე ზემოაღნიშნული განსაზღვრავს წინამდებარე სადისერტაციო თემის აქტუალობას.

კვლევის საგანს XX საუკუნის ევროპულ პროფესიულ ინსტრუმენტულ მუსიკაში შექმნილი პრელუდის, ტოკატისა და ფანტაზიის უანრები წარმოადგენს. ამ პრიოლში სამივე უანრი მრავალი საერთო თუ განმასხვავებელი თვისებით ხასიათდება, თითოეული მათგანი იძენს ან კარგავს მთელ რიგ ახალ თუ იმანენტურ თვისებას. შედეგად იგვეთება უანრული სტაბილურობის პრობლემა: როგორ გარდაიქმნება დამოუკიდებელი ან ციკლის შემადგენელი ნაწილის სახით მოცემული ეს მონათესავე უანრები ინდივიდუალური საკომპოზიტორო სტილის, სხვა უანრებთან ურთიერთკავშირის პირობებში, მათი ისტორიული განვითარების კონტექსტში; ასევე მნიშვნელოვანია, თუ რა ადგილს იკავებს ამ საერთო პანორამაში ქართულ მუსიკაში შექმნილი პრელუდის, ტოკატისა და ფანტაზიის ნიმუშები. სწორედ აღნიშნული საკითხების შესწავლა წარმოადგენს წინამდებარე კვლევის ძირითად მიზანს.

XX საუკუნის ევროპულ პროფესიულ მუსიკაში შექმნილი ინსტრუმენტული პრელუდიების, ტოკატებისა და ფანტაზიების ანალიზის საფუძველზე, კვლევის ამოცანები შემდეგნაირად განისაზღვრა:

- პრელუდის, ტოკატისა და ფანტაზიის უანრული თავისებურებების გამოკვეთა ევროპული პროფესიული მუსიკის განვითარების სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე და XX საუკუნეში ჩამოყალიბებული მათი უანრული მოდელების განსაზღვრა;
- მუსიკალურ უანრთან დაკავშირებული ძირითადი თანამედროვე ოეორიების კრიტიკული მიმოხილვა;
- საკვლევ უანრებში იმანენტური და შეძენილი თვისებების დადგენა:

- პრელუდიას, ტოკატასა და ფანტაზიას შორის არსებული საერთო და განმასხვავებელი თვისებების გამოვლენა და ურთიერთშედარება;

- ციკლში ან დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით წარმოდგნილი თითოეული უანრის ქმნილებების შედარება;

- ქართული მუსიკალური ნიმუშების კომპარატიული განხილვა ევროპულ იდენტურ ჟანრებთან.

დასახულმა მიზნებმა და ამოცანებმა განაპირობა კვლევის კომპლექსური და კომპარატიული მეთოდოლოგიის შერჩევა.

პრობლემაზე მუშაობისას განხილული ლიტერატურის ერთი ნაწილი (ენციკლოპედიები, ნ.სპეციალორის, კ.ზეგინის, ვ.პროტოპოვის და სხვ. შრომები) ამა თუ იმ სახით ეხებოდა საკვლევი ჟანრების დეფინიციის, სხვადასხვა ეტაპზე ისტორიული განვითარების პრობლემებს. ვ.ცუკერმანის, მ.არანოვსკის, ა.სოხორის, ე.ცარევას, ტ.პოპოვას, ო.სოკოლოვის შრომებში მოყვანილი ჟანრის თეორიის ზოგადი მიმოხილვის შედეგად კი გამოკვეთილია პრელუდის, ტოკატისა და ფანტაზიის ჟანრების იმანენტური და შეძენილი თვისებები, განალიზებულია მათი ტრანსფორმაცია ისტორიული დინამიკის კონტექსტში. ცალკე უნდა აღინიშნოს ის შრომები (მ.საბონოვი, ს.მალცევი, პ.გრიფითისი, ს.ბირიუკოვი, ვ.ცენოვა, მ.პერევერზევა, ვ.მედუშევსკი, მ.ვირსალაძე, ა.სკრიპნიკი), რომელთა კრიტიკული მიმოხილვის შედეგად დისერტაციაში საკვლევ სამ ჟანრთან მიმართებით ხდება იმპროვიზაციის/ულობის, ალეატორიკისა და ფანტაზიის ფენომენთა ურთიერთობიმართვაზე მსჯელობა. ასევე შესწავლილია უამრავი წყარო, სადაც კვლევის საგანი გაშუქებულია ამა თუ იმ კომპოზიტორის შემოქმედებასთან კავშირში, მოყვანილია ზოგადი დებულებები XX საუკუნის ევროპულ (მათ შორის, ქართულ) მუსიკალურ ხელოვნებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად დამუშავებული ლიტერატურის სიმრავლისა, ზემოაღნიშნული რაკურსის სამეცნიერო კვლევა არ შეგვხვედრია, რაშიც აისახება საკითხის შესწავლის ახლებური მიდგომა. შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომის სიახლე შემდეგნაირად გვესახება:

1. ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით განსაზღვრულია XX საუკუნის ინსტრუმენტული პრელუდიის, ტოკატისა და ფანტაზიის ჟანრების რაობა;

2. საკვლევი სამი ჟანრი განხილულია მუსიკალური ჟანრის თანამედროვე თეორიების კონტექსტში;

3. გამოკვლეულია პრელუდის, ტოკატისა და ფანტაზიის ჟანრების განვითარების ისტორიული დინამიკის თავისებურებები;

- დამოუკიდებელი ნაწარმოების თუ ციკლის შემადგენელი ნაწილის სახით წარმოდგენილი XX საუკუნის პრელუდია, ტოკატა და ფანტაზია შედარებულია მანამდე ჩამოყალიბებულ მათ უანრულ პროტოტოპებთან შემდევ ძირითად თეორიულ ასპექტებში: უანრობრივი დამოუკიდებლობა/დრამატურგიული ფუნქცია, მუსიკალური ფორმა, პოლიფონია, ოსტინატოს როლი, მუსიკის გამომსახველობითი საშუალებები, ჰარმონიული სისტემა, საკომპოზიციო ტექნიკა, უანრული ურთიერთკავშირები, საკრავის გააზრება, დამოკიდებულება ტრადიციებთან;

4. საკვლევ უანრებს შორის არსებული საერთო თუ განმასხვავებელი ნიშნების დადგენის მიზნით:

- პრელუდის, ტოკატისა და ფანტაზიის უანრებში გამოკვეთილია იმპროვიზაციულობისა და ალეატორიკის გამოვლენის დონეები;

- გამოვლენილი და ურთიერთშედარებულია სამივე უანრს შორის არსებული მსგავსი და განსხვავებული თვისებები;

- ციკლში გაერთიანებული თითოვეული უანრის ნიმუშები ურთიერთშედარებულია დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით წარმოდგენილ ნიმუშებთან;

5. განისაზღვრა პრელუდის, ტოკატისა და ფანტაზიის ქართული ნიმუშების მნიშვნელობა XX საუკუნის ევროპული ინსტრუმენტული მუსიკის იდენტური უანრების განვითარებაში.

დისერტაციაში შესული განხილული ნაწარმოებების შერჩევა რამდენიმე კრიტერიუმით მოხდა. კერძოდ, წარმოდგენილია განსხვავებული სტილის, სკოლისა თუ მიმდინარეობის კომპოზიტორთა ის ნიმუშები, რომლებიც, იმავდროულად, იდენტური უანრის სხვა ქმნილებებისგან ამა თუ იმ თავისებურებით გამოირჩევა. გარდა ამისა, ნაშრომის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, დიდი ადგილი ეთმობა ქართველი კომპოზიტორების მუსიკალურ ნაწარმოებებსაც. დისერტაციაში განხილულია მხოლოდ ის ნიმუშები, რომლებიც ავტორის მიერ დასათაურებულია, როგორც „პრელუდია“, „ტოკატა“ ან „ფანტაზია“. აქვე აღნიშნავთ, რომ შეგნებულად ავუარეთ გვერდი პრელუდისა და ფუგის დიდი პოლიფონიური ციკლის ფენომენს, რომელიც ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს.

## ჩატარებული კვლევის შედეგად:

- სხვადასხვა უანრული კრიტერიუმისა თუ თეორიული ასკექტის ჭრილში განხილულია პრელუდის, ტოკატისა და ფანტაზიის უანრული ტრანსფორმაცია ისტორიული დინამიკის კონტექსტში;

- გამოკვეთილია XX საუკუნის ინსტრუმენტული პრელუდის, ტოკატისა და ფანტაზიის უანრული მოდელები.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება განისაზღვრება იმ დღებულებებითა და დასკვნებით, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზის, პოლიფონიის, მუსიკის ისტორიის სალექციო კურსებში. ისინი ნაწილობრივ საფუძვლად დაედო სამაგისტრო კურსს „ბაროკოს ეპოქის მუსიკალური ფორმები“, რომელსაც ავტორი კითხულობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2013-2014 წლებში.

დისერტაცია აპრობირებულია თბილისის ვსარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის მიმართულებაზე 2015 წლის 15 დეკემბერს. ნაშრომში ჩამოყალიბებული მოსაზრებანი აისახა სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებში, ასევე წარმოდგენილი იყო საკონსერვატორიო, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე.

## ნაშრომის შინაარსი

დისერტაცია მოიცავს 200 გვერდს. იგი შედგება შესავლის, ორი ძირითადი ნაწილის (ექვსი თავი) და დასკვნისგან, თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია (სულ 132 დასახელება) და დანართი (სქემებისა და სანოტო მაგალითების სახით).

დისერტაციის შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა, საგანი, მიზანი და ამოცანები; გამოკვეთილია კვლევის მეცნიერული სიახლე, მეთოდოლოგია, კრიტიკულადაა მიმოხილული საკითხის ირგვლივ დამუშავებული ლიტერატურა და გამოკვეთილია ნაშრომის სტრუქტურა.

I ნაწილი – „თმორიბისა და ისტორიის ზოგიერთი პრობლემა“ – იყოფა სამ თავად.

პირველ თავში – „პრელუდიის, ტოკატისა და ფანტაზიის ისტორიული განვითარების ეტაპები XX საუკუნემდე“ – განხილულია პრელუდიის, ტოკატისა და ფანტაზიის უანრული გენეზისი, ისტორიული განვითარების ეტაპები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ XIX საუკუნისთვის პრელუდია ყალიბდება, როგორც ინსტრუმენტული, უპირატესად მცირე მასშტაბის, იმპროვიზაციული ხასიათის ნაწარმოები-მნინატურა, რომელსაც ახასიათებს ერთ სახეზე, გრძნობაზე აქცენტი, ლაკონურ ფორმაში ტევადი შინაარსის გადმოცემა, ფიგურაციულობა, მოტორულობა, არაპროგრამულობა. იგი გაერთიანებულია 24 პრელუდიის საფორტეპინო ციკლის სახით, ან წარმოადგენს დამოუკიდებელ კომპოზიციას თუ არაერთგვაროვანი<sup>1</sup> ციკლის შემადგენელ ნაწილს.

ტოკატა „კარგავს“ მისთვის მანამდე დამახასიათებელ პოლიფონიურობას და ყალიბდება პომოფონიური, „ეტიუდური“ ტიპის ვირტუოზულ, საკონცერტო გაქანების უანრად, რომელიც, უმეტესად, კლავიშიანი საკრავებისათვის იქმნება და გვხვდება არაერთგვაროვანი ციკლის შემადგენელი ნაწილის ან დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით.

ფანტაზია მასშტაბურად იზრდება და მსხვილი ფორმის მრავალნაწილიან, საკონცერტო გაქანების ინსტრუმენტულ კომპოზიციად ყალიბდება, რომელშიც ხშირად აისახება სონატურ-სიმფონიური განვითარების იდეა და მოცეკვულია როგორც არაერთგვაროვანი ციკლის შემადგენელი ნაწილის, ისე დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით.

მეორე თავში – „მუსიკალური უანრის თეორიის ზოგიერთი საკითხი“ – მოყვანილია მუსიკალური უანრის შესახებ სხვადასხვა თანამედროვე თეორიები უანრის დეფინიციისა და კლასიფიკაციის პრიბლემების კონტექსტში. კრიტიკულადაა მიმოხი-

1. საღისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია ტერმინები – „ერთგვაროვანი“ და „არაერთგვაროვანი“ ციკლი. პირველ შემთხვევაში იგულისხმება მსგავსი, იდენტური უანრებისგან შემდგარი ციკლი (მაგალითად, პრელუდიების ციკლი), მეორე შემთხვევაში კი – განსხვავებული უანრებისგან შემდგარი ციკლი (მაგალითად, „პრელუდია, ჭორალი და ფუგა“).

ლული ა.სოხორის, ტ.პოპოვას, ო.სოკოლოვის, მ.არანოვსკის, ვ.ცუკერმანის შრომებში ასახული ჟანრის რაობისა და კლასიფიკაციის პრიბლები.

აღნიშნულის საფუძველზე, ჟანრის ფუნქციის, შესრულების პირობების, შინაარსთან კავშირისა და შინაგანი და გარეგანი სტრუქტურის კრიტერიუმების გათვალისწინებით გამოკვეთილია XIX საუკუნისთვის ჩამოყალიბებული პრელუდის, ტოკატისა და ფანტაზის ჟანრების იმანენტური და შექნილი თავისებურებები. პრელუდის შინაგანი სტრუქტურის ამსახველ იმანენტურ, სტაბილურ თვისებებს შორისაა: წმინდა ინსტრუმენტული, არაპროგრამული საფორტეპიანო მინიატურის ჟანრი „ერთეულემნტიანი“ დრამატურგიით (აიგება ერთი ინტონაციური ფორმულის ფიგურაციულ განვითარებაზე), იმპროვიზაციულობა, აღნაგობის თავისუფლება, ხშირად ფორმის ნაწილთა დისპროპორცია (კომპოზიციაში კადენციის შეყვანა, ახალი მასალის შემოტანა პრელუდის დასასრულისკენ, „ოქროს კვეთის“ შემდეგ მოცემული „დაგვიანებული კულმინაცია“).

ამასთან ერთად, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე პრელუდის ჟანრი განიცდიდა განახლებას და იძენდა ან კარგავდა რიგ თვისებებს. ბაროკოს ეპოქაში იგი ხშირად წარმოადგენდა მრავალნაწილიან კომპოზიციას, სადაც შერწყმული იყო თავისუფალ-იმპროვიზაციული და კონტრაპუნქტის კანონებით შექმნილი ნაწილები. საფრანგეთში იქმნება მეტრულ-რიტმულად თავისუფალი, ეწ. unmeasured პრელუდიები. აღსანიშნავია, რომ მომდევნო ეპოქებში პოლიფონიური საწყისის მნიშვნელობა პრელუდის ჟანრში საგრძნობლად კლებულობს. რომანტიზმის ეპოქაში გვხვდება ისეთი პრელუდიებიც, სადაც, კომპოზიციური აღნაგობის თავისუფლების ნაცვლად, ნათლად იკვეთება ამა თუ იმ კლასიკური ფორმის ნიშან-თვისებები. განსხვავებულადაა გააზრებული პრელუდის დრამატურგიული ფუნქციაც – თავდაპირველად იგი წარმოადგენდა შესაგლის ტიპის კომპოზიციას, განვითარების შემდგომ ეტაპებზე კი, მეტწილად, დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით გვხვდება.

ტოკატის ჟანრის შინაგანი სტრუქტურის შესაბამის იმანენტურ თვისებებში მოვიაზრებთ შემდეგ მახასიათებლებს: წმინ-

და ინსტრუმენტული, არაპროგრამული, ოსტინატურ-ფიგურაციულ განვითარებაზე აგებული ვირტუოზული ჟანრი, სწრაფი ტემპითა და უწყვეტი მოძრაობით, სადაც ხშირად ხაზგასმულია საშემსრულებლო ვირტუოზულობა, კლავიშიანი ინსტრუმენტი კი გააზრებულია, როგორც დასარტყამი საკრავი.

ტოკატის ჟანრმა განვითარების პროცესში პრელუდიაზე მეტად განიცადა ჟანრული თვისებების მოდიფიკაცია. ჟანრის არაიმანენტურ, არასტაბილურ თავისებურებებს შორისაა: პოლიფონიური და ჰომოფონიური ფაქტურის მონაცემება (ბაროკოს ეპოქა). XIX საუკუნის დასასრულისათვის ტოკატა მეტწილად ჰომოფონიურ ჟანრად ყალიბდება – მდიდრდება სახეობრივი სფეროც, იგი იზრდება მასშტაბურად და იძენს საკონცერტო გაქანებას (მაგალითად, რ.შუმანის ტოკატა օპ. 7).

პრელუდიისა და ტოკატის მსგავსად, იმანენტური თვისებები ახასიათებს ფანტაზიასაც, რომელიც ასევე წარმოადგენს წმინდა ინსტრუმენტულ, არაპროგრამულ ჟანრს; აიგება ზოგადად თავისუფალი განვითარების პრინციპზე, იმპროვიზაციულობაზე, მოულონელი და მრავალფეროვანი კონტრასტების მონაცემებაზე, რიტმისა და ტემპის თავისუფლებაზე.

ტოკატის მსგავსად, ფანტაზიაც პოლიფონიური ჟანრიდან თანდათანობით ჰომოფონიურ ჟანრად გარდაიქმნება. თუ XVI–XVII საუკუნეებში პოლიფონიურობით იგი ემსგავსება რიჩერკარს, ტოკატას, ფუგას, XVIII საუკუნის ფანტაზიაში ხდება შემსრულებლის ვირტუოზულობის წარმოჩენა, მას ახასიათებს ჰარმონიისა და მოღულაციების მრავალფეროვნება, იქმნება ე.წ. „თავისუფალი“, არამეტრიზებული ფანტაზიები. კლასიკურ ეპოქაში ხდება ამ ჟანრის სიმფონიზება (გარდა იმისა, რომ ჰომოფონიურობა მისი მთავარი მახასიათებელია), ამასთან ერთად, ფანტაზია იძენს ინსტრუმენტული კონცერტის ვირტუოზულ ხასიათს, ორატორიისთვის დამახასიათებელ მონუმენტურობას (მაგალითად, ლ.ბეთჰოვენის ფანტაზია ფორტეპიანოს, გუნდისა და ორკესტრისთვის c-moll օპ. 80).

ამგვარად, პრელუდია, ტოკატა და ფანტაზია განვითარების ეტაპებზე, სხვადასხვა დონეზე ჟანრულად მოდიფიცირდება. XIX საუკუნისთვის მეტად ღრმა იყო ის გარდაქმნები, რაც განიცადა

ფანტაზიამ, საგრძნობლად მოდიფიცირდა ტოკატა და ნაკლებად პრელუდიის ჟანრი. მიუხედავად ამისა, სამივე ჟანრმა XX საუკუნემდე შეინარჩუნა ზემოაღნიშნული სპეციფიკური იმანენტური თვისებები.

მესამე თავში – „ცნებების - იმპროვიზაცია/იმპროვიზაციულობა, ალეატორიკა, ფანტაზიურობა - შესახებ“ – აღნიშნული ცნებების რაობისა და კლასიფიკაციის საკითხებია გამოკვლეული (პ.გრიფითსის, ი.იამბოლსკის, პ.ბულეზის, ს.ბირუკოვის, ს.მალცევის, ც.კოგოუტევის, ი.სუპონევას, ვ.ცენოვას, მ.პერევერზევას, ტ.კიურევიანის, მ.ვირსალაძის, ე.დენისოვის, მ.საპონოვის, ვ.მედუშევსკის შრომების საფუძველზე). გარდა ამისა, პრობლემის განხილვისას გვერდი ვერ ავუარეთ იმპროვიზაციის/ულობის, ალეატორიკისა და ფანტაზიურობის კატეგორიების ურთიერთმიმართების საკითხებს.

რიგი მეცნიერებისა თავს არიდებს ამ ორ მოვლენათა შედარებას (ს.ბირუკოვი, ს.მალცევი)<sup>2</sup>, სხვები კი განასხვავებენ მათ ერთმანეთისგან. კერძოდ, ა.სკრიპნიკი<sup>3</sup>, იმპროვიზაციისა და ალეატორიკის შედარებისას, ყურადღებას სწორედ მათ შორის არსებულ არაიდენტურ თვისებებზე ამახვილებს. თუმცა, აღნიშნული შედარების ამსახველ ცხრილებში თავმოყრილი ზოგიერთი დებულება კითხვებს ბადებს. მაგალითად, იმპროვიზაციის თვისებად მკვლევარი თვლის კლიშეს არსებობას, მაშინ, როდესაც ალეატორიკის შემთხვევაში კლიშე „არ მუშაობს“. მიგვაჩნია, რომ ალეატორიკაში ეს მომენტი არ არის მკაცრად რეგლამენტირებული. ალეატორიკული ტექნიკა გულისხმობს კომპოზიციის სხვადასხვა დონეზე შემთხვევითობის გამოყენებას და მისი რეალიზების სახე დამოკიდებულია მხოლოდ შემსრულებელზე: მას შეუძლია გამოიყენოს კლიშე ან არა. არადეტერმინირებული ნაწარმოების შესრულებისას (მით უფრო, თუ შემსრულებელს ერთი და იგივე ნაწარმოები აქვს რეპერტუარში და, შესაბამისად, მას ბევრჯერ

2. Бирюков С. Импровизационность в музыке // Советская музыка, вып.3, 1977; Мальцев С. О психологии музыкальной импровизации, Москва: Музыка, 1991.

3. Скрыпник А. Импровизация и алеаторика (опыт сравнительной характеристики). Музичне мистецтво. Вып. 12 - [http://nbuv.gov.ua/j-pdf/Muzmyst\\_2012\\_12\\_15.pdf](http://nbuv.gov.ua/j-pdf/Muzmyst_2012_12_15.pdf).

ასრულებს), სავსებით შესაძლებელია, შემსრულებელმა მოახდინოს საკუთარ მეხსიერებაში დალექილი მოდელების რეალიზება სხვადასხვა დღნებზე (მთელი კომპოზიციის, ცალკული მონაკვეთების, ჰარმონიული ენის და სხვ.), რაც, თავისთავად, კლიშეს გამოვლენის ერთ-ერთი სახეა.

ზოგიერთი მკვლევარი (შ. საპონოვი, ს. ბირიუკოვი, ტ. კიურევიანი, ტ. დიაჩკოვა და სხვ.)<sup>4</sup> აიგივებს იმპროვიზაციულობასა და ალეატორიკას ან ხაზს უსვამს ამ ორი მოვლენის ურთიერთშედების ფაქტს. თუმცა, რიგ შემთხვევაში, ხდება მათ შორის არსებული იერარქიის გამოკვეთა (მაგალითად, მ. საპონოვის აზრით, ალეატორიკა იმპროვიზაციის გამოვლენის ფორმაა). ამ საკითხის გადასაწყვეტად მიზანშეწონილია, განისაზღვროს ამ ორ მოვლენას შორის არსებული მსგავსი და განსხვავებული მხარეები. იმპროვიზაციის არსის დახასიათებისას აქცენტი სპონტანურობაზე კეთდება, მაშინ, როდესაც ალეატორიკასთან მიმართებით მკვლევარები ყოველთვის ხაზს უსვამენ შემთხვევითობის არსებობას.

მიუხედავად ამისა, მათ აერთიანებთ არადეტერმინირების ფაქტორი, ვინაიდან, ორივე შემთხვევაში, ნაწარმოები საბოლოო სახით იქმნება შესრულების მომენტში. იმავდროულად, არადეტერმინირება, შემთხვევითობა განსხვავებული ხარისხითა წარმოდგენილი და ერთ-ერთია, რაც განაპირობებს ამ ორ ზღვრულ მოვლენას შორის არსებულ სხვაობას. კერძოდ, თუ არაკონტროლირებად ალეატორიკაში (განსაკუთრებით კი, გრაფიკულ მუსიკაში) არადეტერმინირება გადამწყვეტია, იმპროვიზაციაში იგი მოცემულია დეტერმინირებასთან ერთად, ხშირად ამ უკანასკნელის უპირატესობით.

იმპროვიზაციულობასა და ალეატორიკას ახასიათებს შემდეგი საერთო თვისებები: იმპროვიზაციულობა, შემთხვევითობა, ფანტაზიურობა, სპონტანურობა, თავისუფალი განვითარება, ამასთან ერთად, ორივე წარმოადგენს შემოქმედებითი აზროვნების პრინციპს. მეტად თვალშისაცემია მსგავსება იმპროვიზაციასა

4. Сапонов М. Искусство импровизации. Москва: Музыка, 1982; Кюреян Т. Форма в музыке XVII-XX веков. Москва: "ТЦ Сфера", 1998; Дьячкова Л. Гармония в музыке XX века. Москва: МГК, 2004; Stanlay Sadie (Editor) Improvisation. The New Grove Dictionary of Music and Musicians, Oxford: Macmillan, 1980.

და კონტროლირებად აღეატორიკას შორის, ვინაიდან ორივეგან სახეზეა მართვადი შემთხვევითობა. იმავდროულად, არადეტერმინირების მოქმედების დონეებიც არაიღინტურია: თუ იმპროვიზაციაში არადეტერმინირება მხოლოდ საშემსრულებლო პროცესის დონეზეა, აღეატორიკაში ეს შესაძლებელია არა მხოლოდ საშემსრულებლო, არამედ საკომპოზიტორო ან ორივე პროცესში ერთდროულად. გარდა ამისა, აღეატორიკა წარმოადგენს საკომპოზიციო ტექნიკას, ხოლო იმპროვიზაციის მეტწილად მუსიკის შესრულების ნაირსახეობას მიაკუთვნებენ. შესაბამისად, მათ შორის მეტად მკაფიო და დეტალიზებული იერარქიის გამოკვეთა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად.

აღსანიშნავია, რომ ფანტაზია/ურობასაც გააჩნია საერთო შეხების წერტილები იმპროვიზაციასა და აღეატორიკასთან, რომელთა შორისაც უნდა გამოიყოს: იმპროვიზაციულობა, თავისუფალი განვითარება, სამუელ წარმოადგენს შემოქმედებითი აზროვნების პრინციპს. ამასთან, ფანტაზია/ურობა, ისევე, როგორც იმპროვიზაცია, გამოხატავს რა მუსიკის შინაგან თვისებას, შეიძლება მუსიკალური ჟანრის სახითაც არსებობდეს.

ნაშრომის II ნაწილი – „**თანამდროვე ინსტრუმენტული პრელუდია, ტრიპატა და ფანტაზია**“ – შედგება პრეამბულისა და სამი ძირითადი ანალიტიკური თავისებან.

პრეამბულაში განხილულია XX საუკუნის ევროპულ ინსტრუმენტულ მუსიკაში საკვლევი ჟანრებისადმი ინტერესის გაზრდის ძირითადი მიზეზები: ძველი ჟანრებისა და ფორმების აღდგენა, დაკავშირებული ნეოკლასიცისტურ ტენდენციებთან თუ ზოგადად, პოლიფონის როლის გაზრდასთან; რომანტიზმის ტრადიციების გაგრძელება (მინიატურის ჟანრი); იმპროვიზაციულობის, არადეტერმინირების მნიშვნელობა, განსაკუთრებით, გასული საუკუნის II ნახევრის მუსიკაში. პრელუდის ჟანრის ევოლუციის სრული სურათის აღმისთვის მოკლედაა მიმოხილული მუსიკოლოგიურ ლიტერატურაში არაერთგზის გამოკვლეული კ.დებიუსის, ა.ს.კრიაბანისა და ს.რახმანინოვის 24 პრელუდის ციკლების ძირითადი სპეციფიკა. აღსანიშნავია, რომ შრომაში თეორიული დებულებების ჩამოყალიბებისას, შესაბამის კონტექსტში, არაერთგზის მითითებულია აღნიშნული ციკლების გავლენა და როლი XX საუკუნის პრელუდის ჟანრის განვითარებაში.

დისერტაციის სამ ანალიტიკურ თავში გაანალიზებული XX საუკუნის პრელუდიები, ტოკატები და ფანტაზიები დაჯგუფებულია იმის მიხედვით, როგორაა ისინი წარმოლგენილი – ციკლში თუ დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით.

თავი 4 – „XX საუკუნის ინსტრუმენტული პრელუდია“ – შედგება სამი ქვეთავისგან. ამათგან პირველში (4.1.) – „პრელუდიების ერთგვაროვანი ციკლი“ – გაანალიზებულია ფ.ბუზონის, დ.შოსტაკოვიჩის, ი.ვიშნევრაძესკის, ყ.ყარაევის 24 პრელუდიის საფორტეპიანო ციკლები, ს.ცინცაძის 24 პრელუდიის სამი ციკლი (ფორტეპიანოსთვის, ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის, ვიოლინოსა და კამერული ორკესტრისათვის), რ.შჩედრინის „პოლიფონიური რვეული“ („25 პოლიფონიური პრელუდია“), გ.უსტვოლსკაიას და ს.სლონიმსკის 12 პრელუდიის ციკლები, ნ.როსლავეცის ხუთი პრელუდია, ო.მესიანის რვა პრელუდია, კ.სეროცკის „პრელუდიების სიუიტა“.

ჩატარებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ XX საუკუნის მუსიკაში პრელუდიის ციკლი ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით. იკვეთება: а) პრელუდიის დიდი ციკლები (24, 25/12), რომლებიც მოიცავს პარმონიულ სისტემაში შემავალ ყველა ტონალობაში დაწერილ პიესებს, ბ) პრელუდიის ციკლები, სადაც 24/12-ზე ნაკლები პრელუდიაა თავმოყრილი და არ ეფუძნება ტონალური პრინციპით განლაგების იდეას. 24 პრელუდიის განხილული ციკლები უპირატესად აიგება კვარტულ-კვინტური წრის მიხედვით, სადაც ყოველ მაჟორულ ტონალობას მოსდევს მისი პარალელური მინორი (ფ.ბუზონი, დ.შოსტაკოვიჩი, ი.ვიშნევრაძესკი, ს.ცინცაძე). გამონაკლისია ყ.ყარაევის 24 პრელუდია, რომელიც ასევე კვინტურ წრეს ეფუძნება, თუმცა, ყოველი მაჟორული ტონალობის შემდეგ მოცემულია ერთსახელიანი მინორული ტონალობა. 12 პრელუდიისგან შემდგარი ციკლები კი ქრომატული პრინციპითაა განლაგებული. 24/12-ზე ნაკლები პრელუდიის ციკლებში ეს ლოგიკა, ცხადია, არაა დაცული და მათი გამთლიანება, დიდი ციკლის მსგავსად, მირითადად, ინტონაციური და სახეობრივი თაღებით მიიღწევა. ციკლების ამ ჯგუფში გამოირჩევა კ.სეროცკის ნაწარმოები, რომელშიც პრელუდიები სიუიტის სახითაა გაერთიანებული პრელუდიები. ამასთან, მცირე გამონაკლისის გარდა (კ.დებიუსის, ო.მესიანის ციკლები), უპირატესად, იქმნება არაპროგრამული ციკლები.

სახეობრივად XX საუკუნის პრელუდიის ციკლში ჭარბობს ეტიუდური, საცეკვაო, სასიმღერო ტიპის პრელუდიები, ხშირია კავშირები ისეთ ჟანრებთან, როგორიცაა ტოკატა, მარში, ქორალი, გალსი, ფუგა, ფუგეტა, პასაკალია, ეტიუდი, ბლიუზი, სკერცო და სხვ.

ციკლების დრამატურგია ძირითადად ეფუძნება თემატურად, ტონალურად, ჟანრულად, ტემპობრივად, სახეობრივად კონტრასტული პრელუდიების მონაცვლეობას. ციკლების გამთლიანებას ასევე ხელს უწყობს გამჭოლი განვითარების პრინციპი, ინტონაციური თაღების არსებობა (ფ. ბუზონის, დ. შოსტაკოვიჩის, ი. ვიშნევრადსკის, ყ. ყარაევის, ს. ცინცაძის, რ. შჩედრინის, გ. უსტვოლსკაიას ციკლები). ხშირად პრელუდიების ციკლები აგებულია მონოთემატიზმის პრინციპზე, სადაც ერთი ინტონაციური მოდელი საფუძვლად ედება სხვა პრელუდიებს (დ. შოსტაკოვიჩი, ს. ცინცაძე). ზოგ შემთხვევაში, მცირე ციკლებში პრელუდიებს შორის არ არის მოცემული მკვეთრი კონტრასტი და მთლიანი ციკლი გადმოსცემს ერთ საერთო ხასიათს (ნ. როსლავეცის „ხუთი პრელუდია“), რაც განასხვავებს მათ განხილული დიდი ციკლებისგან.

პრელუდიების ციკლებში კომპოზიციის სხვადასხვა დონეზე ხშირად განსხვავებულადაა ასახული ეროვნული ფოლკლორული საწყისი, რაც ძირითადად მის გაშუალებულ გამოყენებაში ვლინდება (დ. შოსტაკოვიჩი, ყ. ყარაევი, ს. ცინცაძე). XX საუკუნის პრელუდიების ციკლებში დომინირებს ტრადიციული კლასიკური ფორმები, სადაც, იმავდროულად, იკვეთება პრელუდის ჟანრის-თვის დამახასიათებელი იმპროვიზაციულობა, ფორმის თავისუფალი გააზრება.

ციკლების პრელუდიების დიდი ნაწილი ქრომატულ სისტემაშია შექმნილი. ასევე გვხვდება ახალი ჰარმონიული სისტემით თუ საკომპოზიციო ტექნიკით (მიკროტონური – ი. ვიშნევრადსკი, ატონალური – კ. სეროცკი, ალეატორიკული – გ. უსტვოლსკაია, ს. სლონიმსკი) დაწერილი პრელუდიები, რაც სახეობრივი სფეროს გაფართოების საწინდარია და, რიგ შემთხვევაში, გარკვეულწილად მედიტაციური ჟღერადობის, ფილოსოფიური ელფერის ასახვის საშუალებაა (ი. ვიშნევრადსკი, გ. უსტვოლსკაია). ციკლებში ასევე მრავალფეროვნადაა გააზრებული ინსტრუმენტის გამომსახველობითი და მხატვრული შესაძლებლობები.

**4.2. ქვეთავში – „პრელუდია – არაერთგვაროვანი ციკლის შემაღენელი ნაწილი“ – განხილულია პრელუდიები მ.რაველის საფორტეპიანო სიუიტიდან „პუპერენის საფლავი“, ნ.მამისაშვილის ციკლიდან „პრელუდია, ქორალი და ფუგა“, ა.შნიტკეს Concerto grossso-დან №1. ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ არაერთგვაროვანი ციკლის შემაღენელ ნაწილად მოცემული პრელუდია ხასიათდება იმპროვიზაციულობით, ფორმის თავისუფალი აღნაგობით, ერთავექტურობით, ოსტინატურობით, მოდალობისა და ტრიალობის შერევით, პილიფონიური ხერხების გამოყენებით. გარდა ამისა, გართულებული და დისონირებული ჰარმონიული ენით, ეს უანრი, ზოგ შემთხვევაში, იძენს ახალ, სონორულ უღერადობას.**

**4.3. ქვეთავში – „პრელუდია – დამოუკიდებელი ნაწარმოები“ – განვიხილავთ ჭ. ფალიაშვილის პრელუდიას ფორტეპიანოსთვის, ა.ბალანჩივაძის საფორტეპიანო პრელუდიებს C-dur და F-dur, ა.შნიტკეს პრელუდიას „დ. შოსტაკოვიჩის ხსოვნისადმი“. კვლევამ აჩვენა, რომ XX საუკუნეში დამოუკიდებელი ტიპის პრელუდიასადმი კომპოზიტორების ინტერესი იმდენად დიდი არაა, როგორც პრელუდიების ციკლებისადმი. ამის მიზეზი, აღბათ, იმაშიც მდგომარეობს, რომ პრელუდია, როგორც მინიატურის ჟანრი, ციკლად გაერთიანებისკენ მიისწრაფვის. იმავდროულად, XX საუკუნის დამოუკიდებელი ტიპის პრელუდია, ციკლებში გაერთიანებულთან შედარებით, გამოირჩევა მეტად მსხვილი მასშტაბით და იძენს საკონცერტო გაქანებას, რაც აღნიშნულ ჟანრს ვირტუოზულობას ანიჭებს. აյ ხშირია სხვადასხვა პოლიფონიური ხერხები და ფორმები, ასევე თავს იჩენს გაშუალებული სახით გამოყენებული ფოლკლორული საწყისი.**

თავი 5. – „XX საუკუნის ინსტრუმენტული ტოკატა“ – იყოფა ორ ქვეთავად: 5.1. ქვეთავში – „ტოკატა – არაერთგვაროვანი ციკლის შემაღენელი ნაწილი“ – გაანალიზებულია ტოკატები მ.რაველის საფორტეპიანო სიუიტიდან „პუპერენის საფლავი“, ი.სტრავინსკის სავიოლინო კონცერტიდან in D, ნ.გაბუნიას ციკლიდან „იმპროვიზაცია და ტოკატა“, ს.ციინცაძის ციკლიდან „პრელუდია და ტოკატა“, ა.შნიტკეს Concerto grosso-დან №1. ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ XX

საუკუნეში არაერთგვაროვან ციკლში გაერთიანებულ ტოკატას ახასიათებს მოტორულობა, პომოფონიურობა, უწყვეტი განვითარება, ოსტინატურობა, სწრაფი ტემპი, ეტიუდის ტიპის ფაქტურა, შემსრულებლის ვირტუოზულობის ხაზგასმა. თუ ტოკატა ციკლის პირველ ნაწილს წარმოადგენს, იგი ხასიათდება შესავლის ფუნქციით, ხოლო თუ სხვა ნაწილია – დამოუკიდებელი და ხშირად დამაბოლოებელი ფინალის ფუნქცია გააჩნია. გარდა ამისა, თვალშისაცემია ისეთი თვისებები, როგორიცაა საკონცერტო გაქანება, ფოლკლორული ჟღერადობა, გართულებული პარმონიული ენა, მეტრის ხშირი ცვლა, ჟანრის პოლისტილისტიკურად გააზრება.

**5.2. ქვეთავში – „ტოკატა – დამოუკიდებელი ნაწარმოები“** – განხილულია მ.რეგერის ტოკატა ი.р. 59, ს.პროკოფიევის, ფ.ბუზონის, რ.ლადიძის, ო.თაქთაქიშვილის ტოკატები. ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ XX საუკუნის დამოუკიდებელი ტიპის ტოკატაში თავს იჩენს შემდეგი ძირითადი თავისებურებები: მოტორულობა, ოსტინატურობა, უწყვეტი განვითარება, მსხვილი მასტები, უპირატესად პომოფონიურ-პარმონიული ფაქტურა, საკონცერტო გაქანება, ქრომატული სისტემის გამოყენება, დისონანსების ხშირი მონაცვლეობა, ეროვნული საწყისის გარდატეხა.

**თავი 6. – „XX საუკუნის ინსტრუმენტული ფანტაზია“** – მოიცავს ქვეთავს 6.1. – „ფანტაზია – არაერთგვაროვანი ციკლის შემადგენელი ნაწილი, დამოუკიდებელი ნაწარმოები“ – გაანალიზებულია მ.რეგერის საორგანო ფანტაზია ი.რ. 46, ა.შონბერგის ფანტაზია ვიოლინოსთვის ფორტეპიანოს თანხლებით ი.რ. 47, ა.ბალანჩიკვაძის, გ.შავერზაშვილისა და ი.ბარდანაშვილის საფორტეპიანო ფანტაზიები, ს.სლონიმსკის „კოლორისტული ფანტაზია“.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ XX საუკუნის მუსიკაში ფანტაზიის ჟანრი ხასიათდება მთელი რიგი თვისებებით, რომელთა შორისაც აღსანიშნავია: იმპროვიზაციულობა, თავისუფალი აღნაგობა, ვირტუოზულობა, რიტმისა და ტემპის თავისუფლება, პოლიფონიური და პომოფონიური ფაქტურის მონაცვლეობა, საკონცერტო გაქანება. ზოგ შემთხვევაში გამოიყენება როგორც „ტრადიციული“, ისე ახალი საკომპოზიციო ტექნიკა

— ალექსანდრიკა (ს. სლონიმსკი), ღოღეკაფონია (ა. შონბერგი), პოლისტილისტიკა (ი. ბარდანაშვილი), ჰარმონიული ენა ეყრდნობა კლასიკური მაჟორულ-მინორული, ქრომატული თუ ჯაზური ჰარმონიის პრინციპებს (გ. შავერზაშვილი).

დისერტაციის დასპანაში კვლევის შედეგები ახალი რაკურსითაა გაშუქებული.

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ინსტრუმენტული უანრები — პრელუდია, ტოკატა და ფანტაზია XX საუკუნეშიც არ გარგავს აქტუალობას და, მეტიც, რიგ შემთხვევაში, კომპოზიტორთა შემოქმედების მნიშვნელოვან ქმნილებებს წარმოადგენს.

ვ. ცუკერმანის მიერ ჩამოყალიბებული უანრის კლასიფიკაციის კრიტერიუმების მიხედვით<sup>5</sup> გამოკვეთილია პრელუდის, ტოკატისა და ფანტაზიის უანრული თავისებურებები, რის საფუძველზეც გაანალიზებულია მათი ტრანსფორმაცია ისტორიული დინამიკის კონტექსტში.

**სად სრულდება?** — საკონცერტო დარბაზი, ესტრადა, საოპერო ან დრამატული სცენა, ქუჩა ან მოედანი, საოჯახო გარემო. ბაროკოს ეპოქაში პრელუდის, ტოკატისა და ფანტაზიის უანრი ძირითადად ეკლესიაში ჟღერდა. კლასიკური ეპოქიდან მოყოლებული, ეს უანრები საკონცერტო სცენაზე ინაცვლებს. XX საუკუნეში სამივე უანრი სრულდება როგორც საკონცერტო სცენაზე, ისე ეკლესიაში (მ. რეგერის პრელუდიები, ტოკატები და ფანტაზიები).

**ვინ ასრულებს?** — შემსრულებელთა შემადგენლობა, მათი რაოდენობა, ვოკალური ხელის ან ინსტრუმენტების მონაწილეობა. სამივე უანრი ჩაისახა, როგორც წმინდა ინსტრუმენტული ნაწარმოები. თავდაპირველად გაჩნდა პრელუდია და ფანტაზია ბარბითისთვის, ტოკატა კი იწერებოდა ჩასაბერი ინსტუმენტებისა და ტიმპანებისთვის. შემდგომში ინსტუმენტების მრავალფეროვნება წარმოდგენილია იმ საკრავებით, რომლებიც ვრცელდება და დომინირებს ყოველ კონკრეტულ ეპოქაში: აღორძინებასა და ბაროკოს პერიოდში სრულდებოდა ბარბითები, ორგანზე, კლავესინზე, რომანტიზმის ეპოქაში წამყვანი ხედება ფორტეპიანო, ხოლო XX საუკუნეში საშემსრულებლო არსენალი გაფართოვდა — ფორტეპიანოს ემატება ორკესტრი, სხვადასხვა შემადგენლობის ანსამბლები.

5. Цуккerman В. Музыкальные жанры и основы музыкальных форм. Москва: Музыка, 1964.

ვისთვის და რისთვის სრულდება? – აუდიტორის ტიპი, მუსიკალური მომზადების დონე, გემოვნება, გამოყენებითი მნიშვნელობა ყოფაში. ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე პრელუდია, ტოკატა და ფანტაზია საერო და სასულიერო უანრებს წარმოადგენდა. XX საუკუნეში სამივე საკონცერტო უანრებს მიეკუთვნება. ამ პერიოდში ეს უანრები გვხვდება როგორც საერო, ისე სასულიერო დატვირთვით (მაგალითად, მ.რ.ეგერის ქორალური პრელუდიები, ფანტაზიები, ტოკატა).

რა სრულდება? ნაწარმოების შინაარსობრივი მხარე – მისი სახეობრივი სფერო, გამოხატვის ტიპი და დამახასიათებელი მხატვრული მეთოდების კომპლექსი. პრელუდის უანრში, ადრეული პერიოდიდან მოყოლებული, ხდება ერთ სახეზე, გრძნობაზე აქცენტი, მას ახასიათებს „ერთაფექტურობა“, „წამიერების“ განსახიერება. ამასთან, თავად სახეობრიობის გამოხატვის მრავალფეროვნებით გამოიჩინება (დრამატული, ლირიკული, რეჩიტატიული, ქორალური, საცეკვაო, სასიმღერო და სხვ.). XX საუკუნის პრელუდიაც წარმოადგენს მონისახეობრივ უანრს, განასახიერებს „წამიერებას“ და, ამავე დროს, სახეობრივი სფეროს მრავალფეროვანი ასახვის პოტენციალი გააჩნია. ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად წარმოდგენილია პრელუდიების დიდ ციკლებში, რაც ხელს უწყობს კონტრასტული პრელუდიების ერთმანეთთან მონაცემების და, ამავე დროს, მათ დიდ ციკლად გაერთიანებას. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ, თუ XX საუკუნემდე პრელუდია არაპროგრამული იყო, აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული ამ უანრში, ზოგ შემთხვევაში, სახეობრიობა კონკრეტდება და იქმნება პროგრამული ტიპის ნიმუშები.

ადრეულ ტოკატაში ხშირად გამოიყენებოდა „აფექტური“ სტილი, რიტორიკული ფიგურები. ი. ს. ბახთან ეს უანრი მდიდრდება ორატორული პათოსით, დრამატიზმით, შინაარსის სიღრმით, თემატური მასალის მრავალფეროვნებით. XX საუკუნის ტოკატაში ამ თვისებებიდან ზოგიერთი შენარჩუნებულია, იმავდროულად, შეიძლება გამოვყოთ ახალი ნიშნები. ეს უანრი უპირატესად წარმოადგენს გროტესკული, მძაფრი, დრამატული ჟღერადობის ნაწარმოებს, რაც მიიღწევა კონკრეტული საშემსრულებლო ხერხებით: სწრაფი ტემპით, უწყვეტი, ოსტინატური განვითარებით, staccato/martellato-ზე შესრულებით. აქვე აღსანიშნავია, რომ პრე-

ლუდისა და ფანტაზიისგან განსხვავებით, ტოკატა უფრო კონკრეტულია სახეობრივად და ნაკლებად გამოირჩევა მრავალფეროვანი სახეების რეალიზების პოტენციალით.

თავდაპირებელად, ფანტაზია, მეტწილად, წარმოადგენდა მგზნებარე იმპოვიზაციებს, პათეტიკური ხასიათის ნაწარმოებს, სადაც ხშირად გამოიყენებოდა სხვადასხვა რიტორიკული ფიგურები, მონაცემებდა არიოზული და ინსტრუმენტულ-რეჩიტატიული ხასიათის თემატიზმი. XX საუკუნეში ფანტაზია კვლავ სახეობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, სადაც თავს იჩენს სხვადასხვა ხასიათის თემატური მასალა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თუ მონისახეობრივ პრელუდიაში მხოლოდ ერთი ხასიათია გადმოცემული, მსხვილი ფორმის ფანტაზიაში შესაძლებელია ერთმანეთისგან სახეობრივად განსხვავებული მონაცემები მონაცემებდეს.

როგორც კვლევამ აჩვენა, სხვადასხვა უანრული კრიტერიუმის გათვალისწინებით, XX საუკუნის ინსტრუმენტული პრელუდის, ტოკატისა და ფანტაზიის უანრული თავისებურებები, რიგ შემთხვევაში, უცვლელია, რიგი კრიტერიუმებისა კი განსხვავებულადაა წარმოდგენილი სწორედ თანამედროვე ნიმუშებში.

კერძოდ, უანრის ფუნქციისა და შესრულების პირობების კრიტერიუმების კონტექსტში სამივე უანრი ისტორიული პროტოტიპების ტრადიციას განაგრძობს – ესაა წმინდა მუსიკის საკონცერტო (ა.სოხორის მიხედვით) და კამერული (ტ.პოპოვას მიხედვით) უანრები. მუსიკალური უანრის შინაარსობრივი მხარე, ერთი მხრივ, ტრადიციული ხაზით ვითარდება: XX საუკუნის ინსტრუმენტული პრელუდია წარმოადგენს ლირიკულ, მოტორულ, საკონცერტო უანრს; ტოკატა – საკონცერტოსა და მოტორულს, ფანტაზია კი – ლირიკულ, საკონცერტო უანრს. ამასთან ერთად, თანამედროვე პრელუდია პროგრამულ ხასიათს იძენს (კ.დებიუსის, ო.მესიანის პროგრამული ტიპის პრელუდიები) და სცდება მინიატურის ფარგლებს (ს.რახმანინვის 24 პრელუდია).

განსაკუთრებით საინტერესოა, თუ როგორ ვითარდება ამ უანრების შინაგანი და გარეგანი სტრუქტურა. კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პრელუდია, ტოკატა და ფანტაზია არ განიცდის რადიკალურ ცვლილებებს. ეს უანრები ინარჩუნებს იმ ძირითად იმანენტურ, სტაბილურ მახასიათებლებს, რაც მათ გამოარჩევს სხვა უანრებისგან და, რიგ შემთხვევაში, ერთმანეთისგანაც.

თუმცა, ცხადია, თითოეულ მათგანზე გავლენას ახდენს ყოველი ეპოქის ესთეტიკა, მსოფლმშედველობა, სტილი (ტერმინის ფართო და ვიწრო მნიშვნელობით), რაც, პირველყოვლისა, მუსიკალური ენის, ფორმის, სახეობრიობის, საკომპოზიციო ტექნიკის ცვლილებებში იჩენს თავს.

XX საუკუნის ინსტრუმენტულ მუსიკაში სამივე ჟანრი გვხვდება როგორც ციკლში, ისე დამოუკიდებელი სახით. ამასთან, ერთგვაროვან ციკლში მხოლოდ პრელუდიებია გაერთიანებული, რაც პრელუდის, როგორც მინიატურის ჟანრითა და სახეობრიობის ასახვის მრავალფეროვნებითაა განპირობებული. აღსანიშნავია, რომ ტოკატისა და ფანტაზიის დიდი ციკლები მუსიკალურ პრაქტიკაში არ დამკიდრდა.

ჟანრული ევოლუციის გამოკვეთის მიზნით, XX საუკუნის პრელუდის, ტოკატის და ფანტაზიის მათ ისტორიულ პროტოტიპებთან შედარებისას ამგვარი სურათი იკვეთება.

XX საუკუნეში იქმნება როგორც 24 (25), ისე 12 პრელუდისგან შემდგარი ერთგვაროვანი ციკლები, დაწერილი, მეტწილად, შერეულ, ასევე ქრომატულ, მიკროტონურ, ატონალურ სისტემებში. არაპროგრამულ ციკლებთან ერთად, XX საუკუნეში პირველად ჩნდება პროგრამული ტიპის პრელუდიები, ასევე პირველად იქმნება მხოლოდ პრელუდიებისგან შემდგარი სიუიტის ციკლი (კ. სეროცკი), პოლიფონიური პრელუდიების ციკლი (რ. შჩედრინი). გარდა ამისა, წინა პერიოდებისგან განსხვავებით, XX საუკუნეში დიდ ციკლში შესული პრელუდია (ს. რახმანინოვი) იძენს საკონცერტო გაქანებას (ტოკატისა და ფანტაზიის მსგავსად), ფართოვდება და ძილიდრდება მისი სახეობრივი სფერო. XX საუკუნის დამოუკიდებელი ტიპის პრელუდიაშიც შენარჩუნებულია იმანენტური თვისებები. იმავდროულად, პრელუდია იძენს ახალ სტილურ ნიშან-თვისებებს, რომელთა შორისაა საკონცერტო გაქანება, ეროვნული საწყისის აქცენტირება, პოლისტილისტიკის გამოყენება. პრელუდია არაერთგვაროვან ციკლში, XX საუკუნეში, ინარჩუნებს რა სტაბილურ ნიშნებს, ასევე იძენს ახალ სტილურ ნიშნებს: გართულებული ჰარმონიული ენა (ზოგჯერ სონორულობა), პოლისტილისტიკა (ა. შნიტკე).

XX საუკუნის ციკლში შესული და დამოუკიდებელი ტიპის პრელუდის შედარებისას შემდეგი სურათი იკვეთება. ორივე

შემთხვევაში იგი წარმოადგენს მონოსახეობრივ, ინსტრუმენტულ, მეტწილად პომოფონიურ ჟანრს, ხშირად იმპროვიზაციულობით, დაწერილს ახალ პარმონიულ სისტემაში, ეროვნული საწყისის აქცენტირებით. მიუხედავად იმისა, თუ როგორი სახითაა გამოყენებული, პრელუდიაში თვალშისაცემია სხვა ჟანრებთან ურთიერთყავშირი. სხვაობა კი შემდეგშია — თუ ციკლში მოცემული პრელუდია უპირატესად მინიატურის ჟანრს წარმოადგენს, დამოუკიდებელი სახის პრელუდია მეტი მასშტაბურობით, ვირტუოზულობითა და საკონცერტო გაქანებით გამოირჩევა; ხოლო არაერთგვაროვან ციკლში მოცემულ პრელუდიას, რომელიც, უპირატესად, ციკლის პირველ ნაწილს წარმოადგენს, მეტწილად შესავლის ფუნქცია გააჩნია. გარდა ამისა, ზოგადად არაპროგრამული ხასიათის პრელუდია ერთგვაროვან ციკლში, გამონაკლის შემთხვევებში, პროგრამულ დატვირთვას იძენს. ციკლებში გაერთიანებული პრელუდია, დამოუკიდებელი ტიპისგან განსხვავებით, დაწერილია მიკროტონურ, ატონალურ პარმონიულ სისტემაში, ზოგჯერ ახალი საკონცერტიციო ტექნიკით (ალეატორიკა).

XX საუკუნეში ტოკატა, რომელიც გაერთიანებულია არაერთგვაროვან ციკლში ან მოცემულია დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით, ინარჩუნებს მისთვის მანამდე დამახასიათებელ სტაბილურ თვისებებს. სიახლე კი, უპირატესად, გართულებულ პარმონიულ ენაში, დისონანსების ხშირ მონაცვლეობასა და ეროვნული საწყისის როლის გაზრდაში იჩენს თავს. შეიძლება ითქვას, რომ ტოკატის ჟანრი ამ საუკუნეებში ინარჩუნებს იმ ძირითად თავისებურებებს, რაც მას ისტორიულად თან სდევს, მიუხედავად იმისა, დამოუკიდებელი სახისაა თუ ციკლშია გაერთიანებული. ამ თავისებურებათა შორის გამოიყოფა: უწყვეტი განვითარების პომოფონიური ჟანრი, სწრაფი ტექნიკით, მოტორულობით, ოსტინატურობით, ვირტუოზულობით, საკონცერტო გაქანებით. ამასთან, XX საუკუნის ტოკატას სტილისტურად ხშირად ახასიათებს ფოლკლორული უღერადობა, გართულებული პარმონიული ენა. გარდა ამისა, შესაძლებელია მცირეოდენი სხვაობის გამოკვეთაც. კერძოდ, თუ არაერთგვაროვან ციკლში ტოკატა ციკლის პირველ ნაწილს წარმოადგენს, მას შესავლის ფუნქცია გააჩნია, ხოლო თუ ციკლის სხვა ნაწილია — იგი დამოუკიდებელი ტიპის პრელუდიას ჰგავს თავისი ფუნქციით, დასრულებულობით.

XX საუკუნის ციკლში გაერთიანებული ფანტაზიის მის დამოუკიდებელ სახესთან შედარებისას ტოკატის უანრის მსგავსი სურათი იკვეთება – ისინი უმეტესად ერთმანეთის მსგავსია და ახასიათებს იმპროვიზაციული და თავისუფალი განვითარება, საკონცერტო გაქანება, ვირტუოზულობა, პოლიფონიური და ჰომოფონური ფაქტურის ხშირი მონაცვლეობა. ამასთან, იგი სტილური მრავალფეროვნებითაც ხსიათდება: ხშირად გამოიყენება ჯაზური ჰარმონიის ელემენტები (გ.შავერზაშვილი), ალეატორიკა (ს.სლონიმსკი), დოღეპაფონია (ა.შონბერგი), პოლისტილისტიკა (ი.ბარდანაშვილი). გარდა ამისა, არაერთგვაროვან ციკლში შესულ ფანტაზიას, ტრადიციულად, უფრო მეტად შესავლის ფუნქცია აქვს და თემატურად ან ტონალურად ამზადებს მოძღვნო ნაწილს.

კლევის შედეგად შეიძლება გამოვკვეთოთ, თუ რა სახითაა წარმოდგენილი XX საუკუნის პრელუდიაში, ტოკატასა და ფანტაზიაში ძირითადი თეორიული ასპექტები.

მუსიკალური ფორმა. XX–XXI საუკუნეების პრელუდიის, ტოკატისა და ფანტაზიის ინსტრუმენტულ უანრებში, უპირატესად, თავს იჩენს კლასიკური ტიპის ტრადიციული ფორმების ნიშნები. წინარეკლასიკური ფორმები ხშირად გვხვდება იმ ნიმუშებში, სადაც ხაზგასმულია ორიენტაცია ძველი მუსიკის უანრულ მოდელზე. მაგალითად, ფ.ბუზონის პრელუდიებში დომინირებს განმავითარებელი ტიპის კომპოზიციები, მ.რაველი პრელუდიაში „გუპერნის საფლავიდან“ მიმართავს ძველებურ სონატურ ფორმას. კლასიკური ფორმების გამოყენების მიუხედავად, თითქმის ყველა ნაწარმოებში დომინირებს თავისუფალი, ერთიანი განვითარების პრინციპი, რაც თავად უანრების იმპროვიზაციული ბუნებიდან მომდინარეობს. უნდა ითქვას, რომ გაანალიზებული ყველა ნაწარმოების ფორმა ჩაკეტილია, გამონაკლისია ს.სლონიმსკის „კოლორისტული ფანტაზია“, რ.შეჩდრინის №17 პრელუდია, ი.ბარდანაშვილის საფორტეპიანო ფანტაზია. ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, როგორც უკვე აღინიშნა, პრელუდია წარმოადგენდა მცირე მოცულობის, იმპროვიზაციულ პიესას. ბაროკოს ეპოქაში არსებობდა როგორც მრავალნაწილიანი, ასევე ჰომოფონური, მცირე ფორმის პრელუდიები. XX საუკუნეშიც პრელუდიის უანრი, უმეტესად, გვხვდება მინიატურის სახით (გაერთიანებული ერთგვაროვან ან არაერთგ-

ვაროვან ციკლში), განსხვავებით დამოუკიდებელი ტიპის პრელუდიებისგან, რომლებიც შედარებით დიდი ფორმისაა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ, კომპოზიციური თვალსაზრისით, პრელუდიის ჟანრი ინარჩუნებს თავის იმანენტურ თვისებას. ტოკატისა და ფანტაზიის ჟანრების ბაროკოსეული მოდელებისთვის დამახასიათებელია მრავალნაწილიანობა, სადაც ერთმანეთთან მონაცვლეობს პომოფონიური და პოლიფონიური ტიპის ნაწილები. XX საუკუნეში ტოკატაც და ფანტაზიაც ინარჩუნებს მსხვილ მასშტაბს, შედგება სხვადასხვა მონაცვეთისგან, თუმცა, ბაროკოსგან განსხვავებით, აյდომინირებს პომოფონიური ფაქტურა.

პოლიფონია. ბაროკოს ეპოქაში პრელუდიის, ტოკატისა და ფანტაზიის ჟანრებში პოლიფონიას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება; მეტიც, ტოკატასა და ფანტაზიას ფუგის წინამორბედ ჟანრებად მოიხსენიებენ. კლასიკური ეპოქის შემდგომ პერიოდში სამივე ჟანრი პომოფონიურ ნაწარმოებებად ყალბდება, რაც გრძელდება XX საუკუნემდე. XX საუკუნეში კი ამ ჟანრებში კვლავ ბრუნდება პოლიფონიურობა, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის: ნეოკლასიცისტური ტენდენციები, ეროვნული ფოლკლორის გამოყენება და XX საუკუნეში ზოგადად პოლიფონიის როლის გაზრდა. კომპოზიტორები პოლიფონიას მიმართავნ როგორც ხერხების, ისე ფორმის დონეზე (მაგალითად, მარტივი იმიტაცია, უსასრულო კანონი თუ კანონური სეკვენცია, სასრული კანონი, ინვერსია და უცუსვლა ფ.ბუზონის, მ.რევერის, ზ.ფალიაშვილის, დ.შოსტაკოვიჩის, ყ.ყარაევის, ს.ცინცაძის, რ.შჩედრინის ნაწარმოებებში).

პრელუდიები ასევე დაწერილია სხვადასხვა პოლიფონიური ფორმა/ჟანრით, რომელთა შორისაა: ფუგირებული ფორმები – ფუგა, ფუგეტა (ყ.ყარაევის №20, რ.შჩედრინის №№4, 18, 23, დ.შოსტაკოვიჩის №4 პრელუდიები); კანონი (შჩედრინის პრელუდიები №№2, 5, 7, 14, 15, 17, 20, 22); ორ- და სამხმანი ინვენცია (შჩედრინის პრელუდიები №№1, 13); ოსტინატური ფორმები – ჩაკონა (შჩედრინის №10), პასაკალია (რ.შჩედრინის №21, ა.ბალანჩივაძის F dur, ყ.ყარაევის №14 პრელუდიები).

აღსანიშნავია ოსტინატოს როლი, რომელიც რიტმული განმეორების სახით ყოველთვის ვლინდებოდა, განსაკუთრებით, პრელუდიისა და ტოკატის ჟანრებში. ამგვარადაა იგი წარმოდგენილი 24 პრელუდიის ციკლებში, რაც, მეტწილად, განპირობებულია

ეტიუდური/ტოკატური ფაქტურის გამოყენებით. ასევე ყველა გაანალიზებული ტოკატა ეფუძნება ოსტინატურ განვითარებას, რაც ბუნებრივია – იგი ხომ ტოკატის უანრის იმანენტური თვისებაა. კომპოზიტორები მიმართავენ ოსტინატოს არა მხოლოდ ხერხების (რიტმი, ჰარმონია), არამედ ფორმის დონეზეც (ოსტინატური ვარიაციები, იმიტაციური ოსტინატო). აღნიშნულ ორ უანრში ოსტინატო ყოველთვის მსგავსი ფუნქციით არაა გამოყენებული. ტოკატაში ზუსტი განმეორების პრინციპია ის მხატვრული ხერხი, რითაც ხდება უანრის ძირითადი სემანტიკის ხაზგასმა. პრელუდიაში კი ოსტინატო, ერთ შემთხვევაში, ეტიუდურობის/ტოკატურობის შემოტანით აიხსნება და ასევე უანრისთვის დამახასიათებელი ერთაფექტურობის, ერთსახეობრიობის განსხვეულების საშუალებაა. ოსტინატურობა ისტორიულად ნაკლებად დამახასიათებელია ფანტაზიის უანრისთვის (გამონაკლისის სახით მას ვხვდებით ა.ბალანჩივაძის, გ.შავერზაშვილის საფორტეპიანო ფანტაზიებში).

ჰარმონიული ენა, საკომპოზიციო ტექნიკა. ბაროკოს ეპოქიდან მოყოლებული პრელუდიის, ტოკატისა და ფანტაზიის უანრები იქმნება მაჟორულ-მინორულ ან მოდალურ სისტემაში. XX საუკუნეში კი, აღნიშნულის გარდა, გვხვდება ახალი ჰარმონიული სისტემით თუ საკომპოზიციო ტექნიკით შექმნილი ნიმუშებიც. გაანალიზებულ ნაწარმოებებში იკვეთება გაფართოებული და ქრომატული ტონალური სისტემა (ა.სკრიაბინი, ს.რახმანინოვი, ნ.როსლავეცი, გ.უსტვოლსკაია, ა.შნიტკე, რ.შჩედრინი, ნ.გაბუნია, ს.ცინცაძის ციკლი „პრელუდია და ტოკატა“), მოდალობა (კ.დებიუსი, მ.რაველი, ო.მესიანი), თავისუფალი და ორგანიზებული ატონალობა (კ.სეროცკის №4 და №6 პრელუდიები, ა.შონბერგის ფანტაზია), მიკროტონურობა (ი.ვიშნევრადსკი), კონტრალირებადი ალეტორიკა (ს.სლონიშვილი, გ.უსტვოლსკაია, რ.შჩედრინი), სინთეტაკორდის მეოთხი (ნ.როსლავეცის ციკლი).

ხშირია შერეულ სისტემაში დაწერილი პრელუდიები, ტოკატები და ფანტაზიები, სადაც კომპინირებულია: а) ტონალობა და მოდალობა (დ.შოსტაკოვიჩის, ს.ცინცაძის, ყ.ყარაევის პრელუდიები, ო.თაქთაქიშვილის, რ.ლალიძის ტოკატები, მ.რაველის საფორტეპიანო სიუიტა „ჟუპერენის საფლავი“, ი.ბარდანაშვილის ფანტაზია); ბ) კლასიკური და ჯაზური ჰარმონია (კ.სეროცკის პრელუდიების სიუიტა, გ.შავერზაშვილის საფორტეპიანო ფანტაზია).

პრელუდიის, ტოკატისა და ფანტაზიის XX საუკუნის განხილულ ნიმუშებში ჭარბობს პომოვონიური ფაქტურა, ოუმცა, გვხვდება შერული პომოვონიურ-პოლიფონიური წყობის ნაწარმოებებიც (ფ.ბუზონის, დ.შოსტაკოვიჩის, ყ.ყარაევის, ზ.ფალიაშვილის, ა.ბალანჩივაძის პრელუდიები, მ.რეგერის ტოკატა, ფანტაზია და სხვ.). გამონაკლიის წარმოადგენს წმინდა პოლიფონიური ფაქტურის პრელუდიები (რ.შჩედრინის, დ.შოსტაკოვიჩის, ყ.ყარაევის პრელუდიები).

ბაროკომდელ და ბაროკოს ეპოქაში პრელუდიის, ტოკატისა და ფანტაზიის უანრები ეფუძნებოდა მოდალურ, რიგ შემთხვევაში, მაჟორულ-მინორული სისტემისთვის დამახასიათებელ აკორდიკას. XX საუკუნეში სამივე უანრში აღნიშნული სისტემისთვის დამახასიათებელ აკორდებთან ერთად ვხვდებით აკორდებს ჩამატებული ტონებით, პოლიაკორდებს (ნ.როსლავეცის, ო.მესიანის პრელუდიები), კვარტული წყობის აკორდებს (კ.სეროცკი), ჯაზური მუსიკის აკორდიკას (მრავალტერციული, დისონირებული აკორდები – G<sub>maj9</sub>, A<sub>m7</sub>, D<sub>m7</sub>, A<sub>maj9</sub>, D<sup>9</sup> – გ.შავერზაშვილის საფორტეპიანო ფანტაზიაში, კ.სეროცკის №2 პრელუდიაში), კლასტერებს (ს.სლონიმსკი), ზოგადად სონორულ ჟღერადობას (მ.რეგერის ფანტაზია, ა.შნიტკეს ტოკატა Concerto grosso-დან №1).

უანრული ურთიერთკავშირები. უანრთა ასიმილაციის პროცესი სამივე უანრს, განსაკუთრებით კი პრელუდიას, ჩამოყალიბების პერიოდიდანვე ახასიათებდა. კერძოდ, ი.ს.ბახის პრელუდიებში მოისმის არის, ტოკატის, სხვადასხვა ცეკვის უანრული მოდელები, ფ.შოპენის პრელუდიებში – მაზურეკი, ეტიუდი.

XX საუკუნის პრელუდიის, ტოკატისა და ფანტაზიის ნიმუშებში კვლავაც ვხვდებით უანრულ შერევას. ამ თვალსაზრისით ყველაზე დიდი მრავალფეროვნებაა განხილულ პრელუდიებში. აქ უმეტესად წარმოდგენილია პრელუდიასთან ახლოს მდგომი უანრების – ეტიუდის, ტოკატის თვისებები (სწრაფი ტემპი, ოსტინატურობა, უწყვეტი განვითარება, დაძაბული, მაფრი ზასიათი, staccato-ზე შესრულება). გარდა ამისა, თავს იჩენს როგორც პირველადი (საზეიმო და სამგლოვიარო მარში, სიმღერა), ისე პროფესიულ მუსიკაში ჩამოყალიბებული უანრები: ქორალი, სკერცო, ფუგა (ფუგეტა, ფუგატი). ქართული მუსიკის ნიმუშებში ვხვდებით ფოლკლორულ უანრებსაც (ნანა, საჭიდაო, საფერხულო).

შესაბამისად, XX საუკუნის ინსტრუმენტულ პრელუდიებში შეიძლება გამოყოთ უანრული ურთიერთქავშირი (ს.რახმანინოვის op. 23 №7, 8, 9, კ.დებიუსის №№3, 7, 9, 13, დ.შოსტაკოვიჩის op. 34 №№6, 9, 12, 23, ი.ვიშნევრადსკის №№1, 10, 20, ს.ცინცაძის საფორტეპიანო ციკლში №№7, 9, 11, 18, 20 – ეტიუდური ტიპის პრელუდიები, ს.რახმანინოვის op. 23 №1 და ყ.ყარაევის №2 პრელუდიები, სადაც სინთეზირებულია სიმღერისა და რომანის თვისებები); ბ) განსხვავებული უანრული მოდულების შეთავსება – კდებიუსის პრელუდიაში „გენერალი ლავინი – ექსცენტრიკოსი“ (კექ-უოკი), ს.რახმანინოვის op. 23, d-moll (მენუეტი), ა.სკრიაბინის op. 11 №2 (ვალსი, რომანი), op. 33 №4 (მარში, სკერცო), op. 35 №3 (სკერცო, ვალსი, მარში, ქორალი), op. 48 №4 (სკერცო, მაზურეკი), დ.შოსტაკოვიჩის op. 34, h-moll (გავოტი), ა.ბალანჩივაძის C-dur (სიმღერა, ცეკვა), ა.შნიტკეს პრელუდიაში „დ.შოსტაკოვიჩის წლივნისადმი“ (პასაკალია, კანონი).

ტოკატისა და ფანტაზიის უანრებშიც ხშირადაა შეთავსებული სხვა ფორმა/უანრის ნიშნები. ასე, მაგალითად, მ.რაველის ტოკატა „კუპერენის საფლავიდან“ რონდო-სონატის ფორმითაა მოცემული, ხოლო რ.ლადიძის რონდო-ტოკატა – რონდოს ფორმას წარმოადგენს, ა.ბალანჩივაძისა და ი.ბარდანაშვილის საფორტეპიანო ფანტაზიები ვარიაციულ ფორმაშია დაწერილი. ფანტაზიის უანრში ვწვდებით სხვა უანრის თვისებებსაც (მაგალითად, ა.ბალანჩივაძის ფანტაზიაში – სიმღერა, ტოკატა, გ.შავერზაშვილის ფანტაზიაში – ეტიუდი, ბლიუზი).

**დამოკიდებულება ტრადიციებთან.** ჩვენ მიერ განხილული პრელუდის, ტოკატისა და ფანტაზიის ნიმუშებიდან ტრადიციებთან კავშირი ყველაზე მეტად პრელუდის, ხოლო ნაკლებად – ფანტაზიის უანრში ვლინდება. პირველყოვლისა, აღსანიშნავია პრელუდიების ციკლები, სადაც აისახა ი.ს.ბახისა და ფ.შოპენის პრელუდიების ციკლების ტრადიციები. მაგალითად, ბახის „კარგად ტემპერირებული კლავირის“ აღნაგობის იდეაა ინტერპრეტირებული ყ.ყარაევის 24 პრელუდის ციკლში, სადაც ყოველ მაჟორულ ტონალობას მოსდევს ერთსახელიანი მინორი, თუმცა პრელუდიები კვარტულ-კვინტური წრის მიხედვითაა განლაგებული; ასევე, გ.უსტივოლსკაიასა და ს.სლონიმსკის 12 პრელუდის ციკლები ქრომატული პრინციპითაა აგებული.

აღსანიშნავია, რომ ფ.შოპენის პრელუდიების ციკლის კვარტულ-კვინტური აღნაგობა, როგორც ჩანს, მეტად პერსპექტიული აღმოჩნდა და გრძელდება ფ.ბუზონის, დ.შოსტაკოვიჩის, ი.ვიშნევრადსკის, ნ.მამისაშვილის, ს.ცინცაძის, ა.შავერზაშვილის, ნ.გუდიაშვილის 24 პრელუდის ციკლებში, სადაც კვინტური წრით განლაგებულ ყოველ მაჟორულ ტონალობას მოსდევს მისი პარალელური მინორი<sup>6</sup>. პოლონელი კომპოზიტორის მუსიკალური სტილისტიკა განსაკუთრებით შეიგრძნობა ა.სკრიაბინის, დ.შოსტაკოვიჩის, ს.ცინცაძის, კ.სეროცკის პრელუდიებში.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია კ.დებიუსის, ა.სკრიაბინის, ს.რახმანინოვისა და დ.შოსტაკოვიჩის პრელუდიური ციკლების ზეგავლენა. კ.დებიუსის ტრადიციები ასახვას ჰქოვებს ო.მესიანის რვა პრელუდის, ნ.მამისაშვილის 24 პრელუდის ციკლებში, რომლებიც პროგრამულ ნაწარმოებებს წარმოადგენს. ა.სკრიაბინის პრელუდიების ნიშან-თვისებები, უპირატესად, იკვეთება ი.ვიშნევრადსკის, გ.უსტვოლსკაიას, ს.ცინცაძის, ნ.როსლავეცის პრელუდიებში და ვლინდება ინტონაციურ-პარმონიულ ენაში, პრელუდის უანრის კონცეფციურ-ფილოსოფიურ გააზრებაში. ი.ვიშნევრადსკის, ს.ცინცაძის, ა.შავერზაშვილის, ნ.გუდიაშვილის ციკლებში მოისმის ს.რახმანინოვისეული ინტონაციები. დ.შოსტაკოვიჩის პრელუდიების სტილისტიკა (ინტონაციური სფერო, გროტესკულ-სკერცოზული სახეები) კი, ნაწილობრივ, გრძელდება გ.უსტვოლსკაიას, ასევე ქართველ კომპოზიტორთა პრელუდიების ციკლებში.

ზოგადად ბაროკოს ეპოქის სტილის ტრადიციები ვლინდება პოლიფონიური ხერხებისა და ფორმების, ბაროკოს უანრული მოდელების გამოყენებაში (ზ.ფალიაშვილის პრელუდია, მ.რაველის საფორტეპაინო სიუიტა „კუპერენის საფლავი“, მ.რეგერის ტოკატა და ფანტაზია, ი.სტრავინსკის სავიოლინო კონცერტი, ა.შენიტკეს Concerto grosso №1, რ.შჩედრინის „პოლიფონიური რვეული“).

6. აღსანიშნავია ც.ჭიუის 25 საფორტეპაინო პრელუდის ციკლის აღნაგობა. იგი შოპენის ციკლის ტონალობათა კვინტური წრის იდეას ორიგინალურად ანვითარებს – დო მაჟორულ პრელუდიას მოსდევს აღმავალი მიმართულების მედიანტით დაშორებული მინორული პრელუდია მი მინორში. შემდეგ, კვლავ იგივე პრინციპით, მოცემულია პრელუდია კონტრასტულ კილომ, სილ მაჟორში და ა.შ. ამ პრინციპით, მოცემულია 24-ვე ტონალობა, შესაბამისად, ბოლო პრელუდიაში, კვლავ მეორდება საწყისი ტონალობა (დო მაჟორი) რაც ერთიან კომპოზიციად კრავს მოელ ციკლს.

განსაკუთრებით საინტერესოა ფრანგული „ზომის გარეშე“ პრელუდიების ტრადიციის გაგრძელება გ.უსტვოლსკაიას, ს.სლონიმსკის (№11 პრელუდია), რ.შჩედრინის (№№6, 24 პრელუდიები) ციკლებში.

საკრავის გააზრება. პრელუდია, ტოკატა და ფანტაზია ჩაისახა, როგორც ინსტრუმენტული ჟანრი. შესაბამისად, თავიდანვე ძირითად ფორმაქმნად ფუნქციას წმინდა მუსიკის გამომსახველობითი საშუალებები ასრულებდა. ამიტომაც, საკრავის შესაძლებლობები ჩამოყალიბების პერიოდიდანვე აქცენტირებული იყო სამივე ჟანრში. პრელუდიისა და ფანტაზიისგან განსხვავებით, ტოკატაში აღრეული პერიოდიდან ხდება საშემსრულებლო ვირტუოზულობის ხაზგასმა. ბაროკოს ეპოქაში სამივე ჟანრი ძირითადად იქმნებოდა ბარბითისთვის, ორგანისთვის, კლავესინისთვის. რომანტიზმის ეპოქაში დომინირებს ფორტეპიანო, XX საუკუნეში კი ემატება სხვადასხვა შემადგენლობის ანსამბლები, ორკესტრი. ამ პერიოდის პრელუდიის, ტოკატისა და ფანტაზიის ჟანრებში მრავალთეროვანი ხდება შემსრულებლის ტექნიკური შესაძლებლობები, რაც ხშირად გამოიხატება გართულებულ საშემსრულებლო ხერხებში (სწრაფი ტემპი, ეტიუდური/ტოკატური ტიპის ფაქტურა, ხშირად ფორტეპიანოზე საორკესტრო ჟღერადობის, სონორულობის ხაზგასმა, ინსტრუმენტის გამომსახველობითი და მხატვრული შესაძლებლობების გაფართოება, სანსამბლო ნიმუშებში თითოეული საკრავის ინდივიდუალიზება და მათი როლის გაზრდა მხატვრული სახეების შექმნასა და განვითარებაში).

პრელუდია, ტოკატა და ფანტაზია ბევრი თვისებით ჰგავს ერთმანეთს. მათ შორისაა: იმპროვიზაციულობა, მეტწილად ჰომოფონიური ფაქტურის პრიმატი, კომპოზიციური აღნაგობის თავისუფლება, ინსტრუმენტული ჟანრი, ფიგურაციულობა, უპირატესად, არაპროგრამულობა, თანაარსებობა სხვა ჟანრებთან, გვხვდება როგორც დამოუკიდებელი სახით, ისე გაერთიანებულია ციკლში.

XX საუკუნის პრელუდიის, ტოკატისა და ფანტაზიის ჟანრებში მრავალგვარად ვლინდება იმპროვიზაციულობა და აღლეატორიკულობა. პრელუდიის ჟანრში გვხვდება იმპროვიზაცია მცირე მასშტაბურ<sup>7</sup> (ცალკეული ბერები, მოტივები და მცირე ფრაზები)

7. კრიტერიუმები გამოკვეთილია ს.ბირიუკოვის კლასიფიკაციის მიხედვით (Бирюков, 1977).

და სინტაქსურ დონეზე (ფრაზები, წინადადებები, პერიოდი); ტოკატის ჟანრში ზოგჯერ მოცემულია იმპროვიზაცია მცირე მასშტაბურ დონეზე, ხოლო ფანტაზიაში იკვეთება იმპროვიზაცია სამივე დონეზე: მცირე მასშტაბურ, სინტაქსურ და უფრო მსხვილ, კომპოზიციურ დონეზე (პერიოდები, მარტივი ფორმები და ა.შ.).

საშემსრულებლო გამომსახველი ხერხების<sup>8</sup> თვალსაზრისით, პრელუდიაში, ტოკატასა და ფანტაზიაში გამოყენებულია ინსტრუმენტული იმპროვიზაცია; შემადგენლობისა და ტექნიკის მიხედვით, სამივე ჟანრში დომინირებს სოლო იმპროვიზაცია და ვარირების სხვადასხვა ფორმები; მუსიკალური წყობის კუთხით პრელუდიაში იკვეთება წმინდა რიტმული იმპროვიზაცია (გუსტვოლსკაია, ს.სლონიმსკი), ფანტაზიის ჟანრში კი – ბერძოლის მიმაღლებრივ-რიტმული (ს.სლონიმსკი); იმპროვიზაციის მოდელზე დამოკიდებულების ხარისხით მხოლოდ ფანტაზიაშია გამოყენებული შედარებით მტკრი.

პრელუდიისა (გ.უსტვოლსკაია, ს.სლონიმსკი) და ფანტაზიის (ს.სლონიმსკი) განხილულ ნიმუშებში გამოყენების სისრულისა და პროცესის<sup>9</sup> მიხედვით მოცემულია კონტროლირებადი, საშემსრულებლო პროცესის აღეატორიკა; გამოყენების ინტენსივობის ხარისხით აღეატორიკა თავს იჩენს მთელი ნაწარმოების მანძილზე, ფაქტურის დონეზე კი ვლინდება მუსიკის გამოშვახველობით საშუალებებში (რიტმი, მეტრი), ასევე ღროითი პარამეტრის დონეზე (ს.სლონიმსკის №11 პრელუდია, „კოლორისტული ფანტაზია“). გარდა ამისა, XX საუკუნის პრელუდიისა და ფანტაზიის უანრებში იკვეთება მობილური ფორმა (ტექსტი მობილურია, სტრუქტურა კი – სტაბილური).

მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ჩვენ მიერ გაანალიზე-  
ბული ყველა ნიმუშის კონკრეტულ მიმართულებასა თუ სტილური  
მიმდინარეობისთვის მიკუთვნება, განხილული ნაწარმოებები სხვა-  
დასხვა სტილისა და მიმართულების კონტექსტშია შექმნილი, რაც  
მეტნაკლებად აისახება უანრის გააზრებისა თუ სტილის სპეცი-

8. აღნიშვნელი კრიტერიუმები გამოკვეთილია ს.მალცევის კლასიფიკაციის მიხედვით (Мальцев, 1991).
  9. კრიტერიუმები მოცემულია მ.ვირსალაძის კლასიფიკაციის მიხედვით (ვირსალაძე მ. ალექსორიკა ახალ ქართულ პროფესიულ მუსიკაში (საღისერტაციო ნაშროომი). თბილისი, 2011.

ფიკაში (ნეოკლასიცისტური ტენდენციები მ.რაველის, მ.რეგერის, ფ.ბუზონის, კ.სეროცკის, ი.სტრავინსკის, ს.პოკოვიევის, რ.შჩედრინის ნაწარმოებებში; ექსპრესიონისტული სახეობრიობა ა.შონბერგის, გ.უსტვოლსკაიას ნიმუშებში; პოლისტილისტიკა დ.შოსტაკოვიჩის, ა.შნიტკეს, ი.ბარდანაშვილის ქმნილებებში; სონორულიბა ს.სლონიმსკის ფანტაზიაში; ფოლკლორიზმი ა.ბალანჩივაძის, ს.ცინცაძის, ყ.ყარაევის ზოგიერთ კომპოზიციაში; რომანტიკული ტრადიციები ი.ვიშნევრადსკის, ნ.როსლავეცის, ნ.მამისაშვილის, ს.ცინცაძის პრელუდიებში). იმავდროულად, აღნიშნულ სპექტრში წარმოდგენილი სამივე ჟანრის არსი, მათი იმანენტური თვისებები უცვლელი რჩება.

აღსანიშნავია, რომ ევროპულ მუსიკაში შედარებით მეტი ნიმუშია შექმნილი XX საუკუნის I ნახევარში; ავანგარდისთვის ეს ჟანრები ნაკლებად ტიპიური იყო, მათდამი ინტერესი კი კვლავ იჩენს თავს პოსტმოდერნის პერიოდში.

ქართულ მუსიკაში ამ ჟანრების გამოყენების თავისებურებებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება აღინიშნოს, რომ პრელუდია აქ წარმოადგენს დამოუკიდებელ მონოსახეობრივ მინიატურის ჟანრს, რომელიც ხშირად 24 პრელუდის ციკლადაა გაერთიანებული (ა.შავერზაშვილის, ნ.გუდიაშვილის, ს.ცინცაძის, ნ.მამისაშვილის ციკლები); ტოკატა გვხვდება, როგორც „ეტიუდური“ ტიპის ვირტუოზული, ჰომოფონიური, მოტორული, ოსტინატური ჟანრი, სადაც აქცენტირებულია შემსრულებლის ტექნიკური შესაძლებლობები; ფანტაზია კი წარმოადგენს იმპროვიზაციულ-არარეგლამენტირებული ფორმის ნაწარმოებს, რომელიც გამოირჩევა რეჩიტატიულობით, ვირტუოზულობით, რიტმისა და ტემპის თავისუფლებით, პარმონიისა და მოდულაციების მრავალფროვნებით. ქართულ ნიმუშებში დომინირებს შერეულ პარმონიულ სისტემაში შექმნილი ნაწარმოებები, სადაც მაჟორულ-მინორული სისტემა შერწყმულია მოდალურთან. ქართულ პროფესიულ მუსიკაში სამივე ჟანრის ნაწარმოებებში მუსიკალური ფორმები ძირითადად წარმოდგენილია თავისუფლად გააზრებული კომპოზიციით, რაც მიუთითებს მათ ბაროკოსეულ მოდელთან სიახლოვეზე. თუმცა, დომინირებს არა პოლიფონია, არამედ ჰომოფონია (ტოკატასა და ფანტაზიაში აღარ გვხვდება პოლიფონიური მონაკვეთები), რაც ბაროკოს შემდგომი პერიოდის ჟანრული მოდელების ტრადიციების განვითარებაზე მე-

ტყველებს. მუსიკალური ენის თვალსაზრისით გრძელდება რომან-ტიკული და შემდგომი პერიოდის მუსიკის ტრადიციები; ძირითადად ვითარდება ფ.შოპენის, კ.დებიუსის, ა.სკრიაბინის, ს.პროკოფიევის, დ.შოსტაკოვიჩის ამ უანრების ნაწარმოებებში ასახული სტილური თავისებურებები. გარდა ამისა, ქართულ ნიმუშებში, უპირატესად, ხაზგასმულია ფოლკლორული საწყისი, რაც მათ სხვა ეროვნული სკოლების წიაღში შექმნილ ნიმუშებს ამსგავსებს (დ.შოსტაკოვიჩის, ყ.ყარაევის განხილული ნაწარმოებები).

ამგვარად, XX საუკუნის მუსიკაში საკვლევი უანრებიდან კომპოზიტორები შედარებით დიდ ინტერესს იჩენენ პრელუდიის უანრის მიმართ, რომელიც ჭარბობს რაოდენობრივად. პრელუდიის (ძირითადად მინიატურის) უანრი, ფანტაზიისა და ტოკატისგან განსხვავებით, გვხვდება როგორც დიდ ან მცირე ციკლში, ისე და-მოუკიდებელი ნაწარმოების სახით, გარდა ამისა, მას სახეობრივიბის მრავალფეროვანი ასახვის პოტენციალი გააჩნია, რითაც შეიძლება აიხსნას მისდამი გაძლიერებული ინტერესი. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ მუსიკალური ენისა თუ ფორმის, საკომპოზიციო ტექნიკის ახალი ტიპების გამოყენების დონეზე ცვლილებებისადმი ყველაზე მეტად ფანტაზიის უანრი აღმოჩნდა ლია, რაც მისი იმ-პროვიზაციული ბუნებითაც აიხსნება – ყოველ ეპოქაში ფანტაზია ხშირად ტრადიციული ნორმებიდან გადახვევით ხასიათდებოდა.

პრელუდია, ტოკატა და ფანტაზია, მათი უანრული ინდივი-დუალიზმის და, ასევე, იმის მიუხედავად, ციკლშია გაერთიანებული თუ დამოუკიდებელი სახითაა მოცემული, ბევრი საერთო თვისებით ხასიათდება. დამოუკიდებელ პრელუდიას, ტოკატასა და ფანტაზიას ერთმანეთთან აახლოებს: მსხვილი მასშტაბი, საკონცერტო გაქანება, ვირტუოზულობა. იმავდროულად, პრელუდია, ტოკატი-სა და ფანტაზიისგან განსხვავებით, ძირითადად მონოსახეობრივია. ციკლებში გაერთიანებულ საკვლევ უანრებს შორის ასევე ბევრი საერთო თვისებაა: თუ პრელუდია, ტოკატა ან ფანტაზია მოცემულია არაერთგვაროვანი ციკლის პირველი ნაწილის სახით, მათ შესავლის ფუნქცია აქვს და მომდევნო ნაწილს ამზადებს ტონალურად ან თემატურად. ამასთან ერთად, სამივე უანრიდან ერთგვაროვან ციკლში მხოლოდ პრელუდიაა გაერთიანებული. გარდა ამისა, პრელუდია ციკლში უმტესად მინიატურის უანრის წარმადგენს, განსხვავებით ტოკატისა და ფანტაზიისგან, რომლებიც შედარებით

მსხვილი მასშტაბითა და საკონცერტო განვითარებით გამოირჩევა. განხილულ ნიმუშებს შორის არსებული სტილური განსხვავებულობის მიუხედავად, ამ სამი უანრის მსგავსება ყველაზე მეტად მათ უანრულ მდგრადობაში გამოვლინდა.

კვლევის საფუძველზე შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ XX საუკუნის პრელუდის, ტოკატისა და ფანტაზიის უანრული დეფინიცია:

- თანამედროვე ინსტრუმენტული პრელუდია, უპირატესად, მცირე ფორმის (ხშირად საფორტეპანო) ნაწარმოებია, რომელიც წარმოდგენილია როგორც დამოუკიდებელი სახით, ისე გაერთიანებულია ციკლებში. იგი ხასიათდება ფორმის აღნავობის თავისუფლებით, იმპროვიზაციულობით, მონოსახეობრიობით, უპირატესად არაპროგრამულობით, მცირეში ტევადი შინაარსის გადმოცემის თავისებურებით, ჰომოფონური და ერთგვაროვანი ფაქტურით, სახეობრიობის ასახვის მრავალფეროვანი სპექტრით.

- თანამედროვე ტოკატა წარმოადგენს ვირტუოზულ, არაპროგრამულ, საკონცერტო ინსტრუმენტულ ნაწარმოებს, რომელიც აიგება უწყვეტ, ფიგურაციულ და ოსტინატურ განვითარებაზე, შემსრულებლის ტექნიკური შესაძლებლობების აქცენტირებით, ფორტეპიანოს, როგორც დასარტყამი საკრავის გააზრებით; უპირატესად ახასიათებს მძაფრი და გროტესკული სახეობრიობა, ეტიუდის ტიპის ფაქტურა, ვირტუოზულობა, საკონცერტო გაქანება, გვხვდება როგორც დამოუკიდებელი სახით, ისე არაერთგვაროვან ციკლში.

- თანამედროვე ინსტრუმენტული ფანტაზია მსხვილი ფორმის ნაწარმოებია, რომელიც გამოირჩევა იმპროვიზაციულობით, ფორმის თავისუფლად გააზრებითა და განვითარებით, სადაც ხშირად მონაცემებს კონტრასტული მონაკვეთები. პრელუდის მსგავსად, მასაც ახასიათებს სახეობრივი სფეროს მრავალფეროვნება; ზოგ შემთხვევაში, ამ უანრში გამოიყენება ახალი საკომპოზიციო ტექნიკა (დოდეკაფონია, ალეატორიკა); დომინირებს დამოუკიდებელი ტიპის ფანტაზიები, თუმცა იგი ასევე შეიძლება არაერთგვაროვანი ციკლის ნაწილსაც წარმოადგენდეს.

ინსტრუმენტული პრელუდის, ტოკატისა და ფანტაზიის უანრები დღემდე იცევეს კომპოზიტორთა ყურადღებას, რაც, თავის-თავად, მათ თვითმყოფადობაზე, განვითარების პოტენციალსა და სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს.

## დისერტაციის მთავარი დებულებები ასახულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. მუსიკალური ჟანრის ზოგიერთი თეორიული ასპექტის შესახებ. ქესე: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია, რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი; ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია; 2013/№1 (9) [2013.12.31]; (გვ. 52-61) [http://www.gesj.internet-academy.org.ge/ge/title\\_ge.php?b\\_sec=muz](http://www.gesj.internet-academy.org.ge/ge/title_ge.php?b_sec=muz)

2. იმპროვიზაციულობა ბაროკოსა და XX საუკუნის საკლავირო მუსიკაში (პრელუდიის ჟანრის მაგალითზე). კრებულში: მეოთხე საერთაშორისო სამუსიკისმცოდნეო სტუდენტური კონფერენცია-კონკურსის მოხსენებების კრებული (ქართულ და ინგლისურ ენებზე). თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, 2014 წ. (გვ. 17-24).

3. გ. უსტვოლსკაიას საფორტეპიანო ციკლი „12 პრელუდია“ (ჟანრის განვითარების თავისებურებები). ქესე: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია, რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი; ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია; 2014/№1 (10) [2014.12.31]; (გვ. 38-44) [http://www.gesj.internet-academy.org.ge/ge/title\\_ge.php?b\\_sec=muz](http://www.gesj.internet-academy.org.ge/ge/title_ge.php?b_sec=muz)

4. I. Wischnegradsky's 24 Preludes in the context of the genre's evolution. In: Musical Armenia; Yerevan Komitas State Conservatory; 2014 /№2 (47), (p. 18-20).

5. პრელუდია, ტოკატა და ფანტაზია – ზოგიერთი საერთო და განმასხვავებელი პრინციპი. კრებულში: კულტურა და ხელოვნება: კვლევა და მართვა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები; ბათუმი, 2015.

**V. Sarajisvili Tbilisi State Conservatoire**

*with the right of manuscript*

**Rusudan Tabagari**

**PRELUDE, TOCCATA AND FANTASIA  
IN THE 20<sup>th</sup> CENTURY  
EUROPEAN INSTRUMENTAL MUSIC**

**A b s t r a c t**

of the Dissertation presented  
for the Academic Degree of PhD

Tbilisi, 2016

**The Scientific supervisor:** **MARIKA NADAREISHVILI**  
Ph. D., Associate Professor

**Experts:** **MAIA TABLIASHVILI**  
Ph. D., Associate Professor

**NINO JVANIA**  
Ph. D., Associate Professor

The defense of the dissertation will be held on February 9, 2016,  
16:00 pm.

At the meeting of the dissertation council №1, of the V. Sarajisvili  
Tbilisi State Conservatoire

Address: 8 Griboedov st., Tbilisi, Tbilisi State Conservatoire  
Auditorium №421

The dissertation and abstract are available at the library of Tbilisi  
State Conservatoire, as well as at [www.tsc.edu.ge](http://www.tsc.edu.ge)

Scientific Secretary  
of Dissertation Council:



**EKA CHABASHVILI**  
Doctor of Musical Arts,  
Associate Professor

## **GENERAL CHARACTERISTICS OF THE WORK**

The 20<sup>th</sup> century is one of the most complicated and diverse epoch in the development of musical art. It is characterized by contrasts, frequent change of aesthetic ideals, coexistence of many and sometimes controversial occurrences. In contemporary epoch new searches are being carried out in all directions, including the spheres of musical language, composition technique, musical genre and form.

Musical genre is a continuously developing and renewable phenomenon, which determines its viability. In the research process of the genre attention should be focused on its stable and mobile elements, as their exposure helps to understand the genesis, specificity and evolution of historical development.

Musical genres can conditionally be divided into two groups: group I represents the so-called initial genres formed in everyday life (march, song, lullaby and others), group II represents the so-called historically established genres, including genre diversities of professional music (symphony, opera, oratorio, sonata, prelude, toccata, fantasia and others).

Instrumental genres prelude, toccata and fantasia were transformed in the process of historical development. On the initial stage they were formed as improvised, free compositions and reached the peak of development in the Baroque epoch. All three genres of this period have many common features, such as improvisation, introductory function, polyphony, free structure of form. Due to the absence of similar features these were often identified with each other in the Baroque epoch. After Baroque these genres were less applied by classic composers and were more in the focus of attention of Romanticists.

In the 20<sup>th</sup> century the interest to these genres increased. Many individual and diverse examples of prelude, toccata and fantasia have been created by European (including Russian and Georgian) composers. These traditional genres often undergo interesting transformation under the conditions of new musical language, harmony system and

in the context of different composition styles, which adds particular importance to their study. All aforementioned determines **the actuality** of the dissertation.

**The research subject** comprises the genres of prelude, toccata and fantasia in the 20<sup>th</sup> century European professional instrumental music. During this period all three genres are characterized by many common and distinctive features, each of them acquires or loses a number of new or immanent features. As a result the problem of genre stability is marked out: how these related genres presented as independent or component parts of a cycle undergo transformation under the conditions of individual composition style, intercommunication with other genres, in the context of their historical development; also noteworthy is what place the examples of prelude, toccata and fantasia composed in Georgian music occupy in this general panorama. The study of these issues is **the main goal** of our research.

Basing on the analysis of the preludes, toccatas and fantasies created in the 20<sup>th</sup> century European professional music **the tasks** of the research are as follows:

- Mark out the genre peculiarities of prelude, toccata and fantasia on various stages of the development of European professional music and define their genre models formed in the 20<sup>th</sup> century;
- Provide critical survey of basic contemporary theories related to musical genre;
- Ascertain the immanent and acquired features revealed in the three genres:
  - Reveal and compare common and distinctive features of Prelude, Toccata and Fantasia;
  - Compare the examples of each genre presented in the cycle or as an independent work;
- Compare Georgian musical examples with European identical genres.

The objectives and problems determined the selection of *complex* and *comparative methods* for research.

Part of special literature reviewed during the research process (encyclopedias, works by N.Spector, K.Zenkin, V.Protopopov and

others) touched upon the issues of definition, problems in the historical development of the researched genres at different stages. General surveys of the genre presented in the works of V.Zuckerman, M.Aranovsky, A.Sokhor, E.Tsareva, T.Popova, O.Sokolov mark out the immanent and acquired features of prelude, toccata and fantasia genres, analyze their transformation in the context of historical dynamics. Particular mention should be made of the works (M.Saponov, S.Maltsev, P.Griffiths, S.Biriukov, V.Tsenova, M.Peverzeva, V.Medushevsky, M.Virsaladze, A.Skripnik), as a result of the critical survey of these works the dissertation discusses interrelation between the phenomena of improvisation, aleatory and fantasia. Also were studied many sources shedding light on the research issue in connection with the creative work of this or that author, presented are general theses connected with the 20<sup>th</sup> century musical art.

Despite the multiplicity of the processed literature, we have not come across the scientific research of the aforementioned viewpoint, which reflects new approach to the study of the problem. Accordingly, we see **the novelty** of the dissertation research as follows:

1. Main points of the 20<sup>th</sup> century prelude, toccata and fantasia genres have been determined;

2. The three genres are discussed in the context of contemporary theories;

3. Peculiarities of historical dynamics in the development of prelude, toccata and fantasia genres are studied:

- 20<sup>th</sup> century prelude, toccata and fantasia presented as independent works or parts of a cycle are compared to their genre prototypes in the following basic theoretical aspects: genre independence/dramaturgical function, musical form, polyphony, role of ostinato, elements of music, harmonic system, composition technique, interrelation between genres, consideration of an instrument, relation with traditions;

4. In order to ascertain common and distinctive features between research genres:

- Levels of improvisation and aleatory are marked out in prelude, toccata and fantasia genres;

- Common and distinctive features of the three genres are revealed and compared;

- Examples of each genre united in the cycle are compared with the examples presented as independent works.

5. Determined the significance of Georgian examples of prelude, toccata and fantasia in the development of 20<sup>th</sup> century European instrumental music.

The discussed works included in the dissertation were selected according to several criteria, namely, presented are the examples by the composers of different style, school and direction, which are distinguished from the examples of identical genre in this or that feature. Besides, proceeding from the aim of the dissertation Georgian composers' musical works occupy significant place among the presented examples.

**As a result of the research:**

- Genre transformation of prelude, toccata and fantasia is discussed from the standpoint of different genre criteria and theoretical aspects in the context of historical dynamics;

- Genre models of the 20<sup>th</sup> century instrumental prelude, toccata and fantasia are marked out.

**Practical value of the work** is determined by the theses and conclusions which can be used in the lecture courses on the Musical Analysis, Polyphony and History of music. They have partly been laid in the foundation of the Master's course "Musical Forms of the Baroque Epoch", which was led by the author at Tbilisi State Conservatoire in 2013-2014.

The Dissertation work approved at the Music Theory Department of Tbilisi State Conservatoire on 15 December, 2015. The considerations suggested in the work were presented at the Conservatoire, National and International Conferences.

## THE CONTENT OF THE WORK

The dissertation of 200 pages consists of introduction, two basic parts (with six chapters) and conclusion, enclosed with the list of references (total of 132 units) and appendices of schemes and notated examples.

In the **Introduction** of the dissertation substantiated are the *actuality, subject, the main goal and tasks*. Marked out is the *scientific novelty of the research, methodology*, critical review of the literature is provided and the structure of the work is underlined.

**Part I – “Some Problems of Theory and History”** consists of three chapters.

**Chapter I – “Stages of Historical Development of Prelude, Toccata and Fantasia until the 20<sup>th</sup> Century”** – discusses the genesis, stages of historical development of prelude, toccata and fantasia genres. The research has ascertained, that by the 19<sup>th</sup> century **prelude** was formed as instrumental, primarily a small improvisational work-miniature, characterized by the accentuation of one feeling, providing the capacious content in a laconic form, figurativeness, motority. Prelude is introduced as 24-prelude cycle for piano, an independent composition or a part of an inhomogeneous<sup>1</sup> cycle.

**Toccata** “loses” its previously characteristic polyphony and is formed as a homophonic, “étude”-type virtuoso genre of concert range, which is mostly created for key-board instruments and is encountered as part of an inhomogeneous cycle or independent work.

**Fantasia** increases and is formed as a large multi-part instrumental composition of concert range, which often reflects the idea of sonata-symphony development and is presented as a part of an inhomogeneous cycle as well as an independent work.

**Chapter II – “Some Issues of Musical Genre Theories”** suggests various contemporary theories on musical genre in the context

---

1. In the Dissertation work are used two terms: “homogeneous” and “inhomogeneous”. Under the first is meant a cycle, which includes a similar, identical genres (e.g. cycle of preludes) and under the other – a cycle, which consists of different genres (e.g. prelude, chorale and fugue).

of genre definition and classification problems. It provides a critical survey of the problems of genre essence and classification suggested in the works of A.Sokhor, T.Popova, O.Sokolov, M.Aranovsky and V.Zuckerman.

Basing on the above-mentioned, with the consideration of genre function, performance conditions, connection with content and with regard to the criteria of external structure, marked out are immanent and acquired features of prelude, toccata and fantasia genres established by the 19<sup>th</sup> century. Among the *immanent, stable* features of **prelude** are: purely instrumental, non-programmatic piano miniature genre with “single-element” dramaturgy (constructed on the frequent figurative development of one intonation formula), improvisation, free structure, frequent disproportion of the form parts (inclusion of cadence in the composition, introduction of new material towards the end of prelude, “belated culmination” after “golden section”).

Besides, at various stages of development prelude genre was renewed and acquired or lost a number of features. In the Baroque epoch prelude often was a multi-part composition, in which free-improvisation parts merged with the parts created according to the laws of counterpoint. In France were created the meter-rhythm free so-called **unmeasured** preludes. It is noteworthy, that in following epochs the meaning of polyphonic initial significantly decreased in prelude genre. In Romanticism epoch also encountered are the preludes, where the features of this or that classical form are marked out instead of free composition structure. Dramaturgical function of prelude is also interpreted diversely – initially it was a composition of introduction type, at the following stages of development it is mostly encountered as an independent work.

Among the *immanent features* of **toccata** genre the following are considered: purely instrumental, non-programmatic, virtuoso genre constructed on the ostinato-figuration development with a quick tempo and uninterrupted movement, where often underlined is virtuoso performance, key-board instrument is interpreted as a percussion instrument.

In the development process toccata underwent more genre modifications than prelude. Among the non-immanent, unstable features of the genre are: alternation of polyphonic and homophonic textures (Baroque epoch). By the end of the 19<sup>th</sup> century toccata had been formed as mostly homophonic genre – with the enriched figurativeness it acquires larger scale and concert range (e.g. Schumann Toccata op.7).

Similar to prelude and toccata, *immanent features* are also characteristic of **fantasia**, which also represents a purely instrumental, non-programmatic genre; is constructed on the principle of free development, improvisation, alternation of unexpected and diverse contrasts, freedom of rhythm and tempo.

Fantasia also gradually transformed into polyphony genre like toccata. If in 16<sup>th</sup> – 17<sup>th</sup> centuries polyphonic fantasia resembles ricercar, toccata and fugue, in the 18<sup>th</sup> century performer's virtuosity is accentuated, it is characterized by the diversity of harmony and modulations, created are the so-called “free”, non-metritized fantasies. In Classical epoch (alongside the homophony being the basic characteristic feature of fantasia) the genre is symphonized, and it acquires virtuoso character of instrumental concert and monumentality characteristic of oratorio (e.g. Beethoven's Fantasia for piano, choir and orchestra c-moll op.80).

Thus, on different stages of development prelude, toccata and fantasia underwent genre modification. In the 19<sup>th</sup> century fantasia underwent deep transformation, toccata was modified significantly and prelude genre – lesser. Despite this, the three genres maintained the afore-mentioned specific immanent features until the 20<sup>th</sup> century.

**Chapter3—“On the Notions“Improvisation/Improvisationality, Aleatory, Fantasia”** discusses the essence and classification issues of these notions (basing on the works of P.Griffiths, I.Yampolsky, P.Boulez, S.Biriukov, S.Maltsev, Ts.Kogoutek, I.Suponeva, V.Tsenova, M.Pereverzeva, T.Kiuregyan, M.Virsaladze, E.Denisov, M.Saponov, V.Medushevsky). Besides, When discussing the problem we could not bypass the issue of interrelation between improvisation/improvisationality, the categories of aleatory and fantasia.

Some scholars avoid comparing these two phenomena (S.Biriukov, S.Maltsev)<sup>2</sup>, others, distinguish them from each other, among them A.Skripnik<sup>3</sup> who focuses on nonidentical features when comparing them. However, some theses from the charts reflecting the comparison arouse questions. For instance, scholar considers the existence of cliché a feature of improvisation, whilst in the case of aleatorics cliché does not work. In our opinion this moment is not strictly regulated in aleatorics. Aleatoric technique implies the application of randomness on various levels of composition and the type of its realization depends only on performer: he can either use cliché or not. In the performance of indeterminate work (all the more, if performer has the same work in the repertoire and correspondingly performs it many times), performer can possibly realize the models sagged in his memory on various levels (harmonious language of the entire composition, separate parts, etc.), which, *per se*, is one of the ways of manifesting cliché.

Some researchers (M.Saponov, S.Biriukov, T.Kiuregyan, T.Dyachkova)<sup>4</sup> identify improvisation and aleatory or stress the fact of interpenetration of these two phenomena. But, in a number of cases, hierarchy between them is marked out (e.g. M.Saponov considers that aleatory is the form for manifesting improvisation). To solve this problem it is expedient to define similar and distinctive sides of these two phenomena. In the characteristics of improvisation accentuated is spontaneity, whilst with regard to aleatory scholars always emphasize randomness. Despite this, they are united by the

- 
2. Biriukov S. Improvisationality in Music//Sovetskaya muzika, ed.3, pp.113-118, 1977; Maltsev S. On the Psychology of Musical Improvisation, Moscow: Muzika, 1991 (in Russian).
  3. SkripnikA.ImprovisationandAleatory(comparativecharacteristics).Muzichne mistetstvo, 2012. ed.12 – [http://nbuv.gov.us/j-pdf/Muzmyst\\_2012\\_12\\_15.pdf](http://nbuv.gov.us/j-pdf/Muzmyst_2012_12_15.pdf). (in Russian).
  4. Saponov M. Art of Improvisation. Moscow: Muzika, 1982; Kiuregyan T. Form in 17th-20th Century Music. Moscow: TTS Sphera, 1998; Dyachkova L. Harmony in the 20th Century Music. Moscow: MGK. 2004. (in Russian); Stanley Sadie (Editor). Improvisation. The New Grove Dictionary of Music and Musicians, Oxford: Macmillan, 1980.

factor of indetermination, as in both cases work acquires its final form in the process of performance. At the same time, indetermination, randomness is presented in different degree, which determines the difference between these two utmost phenomena. Namely, if in limited aleatory (particularly, in graphic music) indetermination is crucial, in improvisation it is presented together with determination, often with the superiority of the latter.

Improvisation and aleatory have following common features: improvisation, randomness, fantasia, spontaneity, free development, they both represent the principle of creative thinking. Catchy is the similarity between improvisation and limited aleatory, because manageable randomness is present in both of them. Levels of indetermination are also non-identical: if in improvisation indetermination takes place only on performance level, in aleatory this is possible on composition level as well or in both processes simultaneously. Besides, aleatory is a composition technique, whilst improvisation is more regarded as performance figurativeness. Accordingly, we do not consider it advisable for the hierarchy to be marked out more clearly or detailed.

It should be mentioned, that fantasia also has common points with improvisation and aleatory, such as: improvisation, free development, all three being the principles of creative thinking. Besides, fantasia as well as improvisation expresses inner features of music and can exist as musical genre.

**Part II** of the work – “**Contemporary Instrumental Prelude, Toccata and Fantasia**” – consists of preamble and three basic analytical chapters.

**Preamble** discusses basic reasons of the increased interest in the study of the 20<sup>th</sup> century European music genres: revival of old genres and forms, related to the increased role of Neoclassicist tendencies and polyphony in general; continuation of Romanticism traditions (genre of miniature); significance of improvisation, indetermination, particularly in the music of the second half of the 20<sup>th</sup> century. For the complete perception of the evolution picture of prelude genre

shortly discussed is the basic specificity of 24 prelude cycles of C. Debussy, A. Scriabin and S. Rachmaninoff. Noteworthy is that in the ascertainment of theoretical theses in the work, the influence and role of the aforementioned cycles in the development of the 20<sup>th</sup> century prelude genre is indicated a number of times in the corresponding context.

The 20<sup>th</sup> century preludes, toccatas and fantasies analyzed in the three analytical chapters of the dissertation are grouped as they are presented – in the cycle or as an independent work.

**Chapter 4 – “Instrumental Prelude of the 20<sup>th</sup> Century”** – consists of three subchapters. Namely, subchapter 4.1 – “**Homogeneous cycle of Preludes**” are analyzed 24 prelude - piano cycles of F. Busoni, D. Shostakovich, I. Wyschnegradsky, K. Karayev, S. Tsintsadze’s three cycles of 24 preludes (for piano; cello and piano; violin and chamber orchestra), R. Shchedrin’s “Polyphonic notebook” (“25 Polyphonic Preludes”), 12-prelude cycles of G. Ustvolskaya and S. Slonimsky, N. Roslavets’s five preludes, O. Messiaen’s eight preludes, K. Serotsky’s “Suite of Preludes”.

